ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 17 ივლისი, 2020 №152 (8416) ფასი: 60 თეთრი

## გიორგი რურუა: „მე დამნაშავე არ ვარ“

გვ.5




# „ბიძინა მძიმე დილემის წინაშეა, იქ ხომ საგიჟეთია!“



გვ.3

გია ხუხაშვილი: „ირაკლი კობახიძე პოლიტიკის წითელი ნაჭერია“



გვ.4

## „ირაკლი კობახიძეზე ამდენს იმიტომ ლაპარაკობენ, რომ ორპოლუსიანობა შენარჩუნდეს“

## „ქართული ოცნების“ რეალური რეიტინგი 20%-ია“

ლაშა ჩხარტიშვილი: „თუკი ივანიშვილი გაბედავს უხეშ გაყალბებას, ბიულეტენების წიხლით ჩატენას და ე.წ. სომხურ კარუსელს, მაშინ სანქციები გარდაუვალი იქნება“



გვ.3

გოგი წულაია: „საქართველოში მწეველები მაინც არიან და სიგარეტის გაძვირებასა და კონტრაბანდის ხელშეწყობას, ხელისუფლებამ, ჯობია, თამბაქოს მრეწველობა ააღორძინოს“





გვ.4

## მაია ნიკოლეიშვილი: „შაქარაშვილის საქმეზე რა ვერსიებსაც განიხილავენ, ორლობის ფანტაზიებია“



გვ.2

## მამუკა მდინარაძე: „ოცნების“ რეიტინგი 55%-ზე მეტია“

„მაჟორიტარად კენჭს არ ვიყრი“

## საქართველოს სანაპირო დაცვა 22 წლისაა

გვ.5



ISSN 1987-9385

**2** „მან დაასამარა აზერბაიჯანის და საქართველოს დამოუკიდებლობა“ — მარნეულში ნარიმანოვის ძეგლის აღება მოითხოვეს

**2** რატომ არ გაიარა კარანტინი ბრიუსელიდან დაბრუნებულმა ზალკალიანმა

**5** მარიამ ხატისკატი: „გიორგი შაქარაშვილის გაუჩინარება ლიზი ნადირაძისგან გავიგე“

**6** აზერბაიჯანს ბევრი დაღუპული და დაჭრილი ჰყავს — სომხეთის თავდაცვის მინისტრის განცხადება

# მამუკა მდინარაძე: „ოცნების“ რეიტინგი 55%-ზე მეტია“

## „მაჟორიტარად კენჭს არ ვიყრი“

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის, მამუკა მდინარაძის განცხადებით, დიდი ალბათობით, 2020 წლის არჩევნებში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი არ იქნება.



როგორც მან ჟურნალისტებთან განაცხადა, მისი საქმიანობა საარჩევნო შტაბთან იქნება დაკავშირებული.

— მაღალი ალბათობით, მე მაჟორიტარი არ ვიქნები. ბოლო დღეებია ამ გადაწყვეტილებამდე და შეიძლება სხვანაირადაც მოხდეს, რადგან საბოლოო კონსულტაციები ამასთან დაკავშირებით არ გამართულა პოლიტსაბჭოში, მაგრამ მაჟოროტარი დიდი ალბათობით, არ ვიქნები და მე უფრო გადართული ვიქნები შტაბის საქმიანობაზე და უფრო აქ მექნება ჩემი ენერგიის დახარჯვის საშუალება, — განაცხადა მდინარაძემ.

კითხვაზე, ხომ არ იქნება ის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის მოადგილე, მდინარაძე ამბობს, რომ ეს არ არის მნიშვნელოვანი საკითხი.

— შტაბის უფროსის მოადგილეობა მოგვიწევს ყველას, მთელ პარტიულ აქტივს, ლიდერს თუ არალიდერს. აქედან გამომდინარე, ეს არ არის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი. შტაბში ყველანი ჩართულები ვიყავით. წინა შემთხვევაში და ამ შემთხვევაშიც იგივენაირად ვიქნები ჩართული, როგორც ადრე ვაკეთებდი და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენი პარტიული აქტივი მოქმედებდეს სწორად, დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებით, — განაცხადა მდინარაძემ.

მისი თქმით, „ქართული ოცნების“ რეიტინგი შიდაპარტიული კვლევების მიხედვით, 55 პროცენტზე გაცილებით მეტია.

— საერთოდ, ციფრების სიზუსტით კვლევებზე პარტიები არ საუბრობენ, რადგან ეს შიდა სამზარეულოა და მხოლოდ ზოგადად საუბრობენ. მე შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ ჩვენი შიდა კვლევით, უფრო მაღალი შედეგი აქვს „ქართულ ოცნებას“, ვიდრე ეს იყო ბოლო გორბის კვლევაში. მაშინ გახსოვთ, ჩვენი რეიტინგი იყო 55 პროცენტი. ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია გითხრათ, რომ 55 პროცენტზე გაცილებით მეტი აქვს დღეს „ქართულ ოცნებას“ რეიტინგი, ჩვენი შიდა კვლევებით, — განაცხადა მდინარაძემ.

ის „ფეისბუქის“ გადაწყვეტილებას მიესალმება და აცხადებს, რომ გამჭვირვალობა „ქართულ ოცნების“ ინტერესებშიცაა, ხოლი ნაციონალური მოძრაობა ამით დაზარალდება.

— მისასალმებელია ფეისბუქის ასეთი დამოკიდებულება, გინდ დაიჯერეთ გინდა — არა, ყველაზე ძალიან ასეთი დამოკიდებულება გამჭვირვალობაზე აწყობს „ქართულ ოცნებას“. მართლა შორს ვარ იმ აზრისგან, რომ არც ერთი ფეიკი „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ არ მუშაობს და ასეთ თვითშემოქმედებას ხშირად ვაწყდები სამწუხაროდ, პირადად მე და ეს ძალიან ცუდია, მაგრამ სისტემური ხასიათი აქვს ამას სხვა მხრიდან. „ქართული ოცნება“ არც ერთხელ არ უხსენებია ფეისბუქს, მას პოლიტიკური სუბიექტი და პოლიტიკური პარტია, გარდა ნაციონალური მოძრაობის, არასდროს უხსენებია.

ნაცმოძრაობა არის ის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის სამარკო ნიშანია მისი პიარ კამპანიის დამახასიათებელი და საფუძველია ტყუილი, ფეიკნიუსები. ბუნებრივია, ყველაზე ძალიან ვისაც დააზიანებს, ეს იქნება ნაცმოძრაობა, — განაცხადა მდინარაძემ.

ცნობისთვის, ფეისბუქის გადაწყვეტილებით, 2020 წლის აგვისტოდან საქართველოში საარჩევნო და პოლიტიკური რეკლამების ავტორიზაცია სავალდებულო გახდება.

მანამდე არასამთავრობო ორგანიზაციებმა და მედიის წარმომადგენლებმა ფეისბუქს მიმართეს, წინასაარჩევნოდ ხელმისაწვდომი გახადოს პოლიტიკური რეკლამების ბიბლიოთეკა.

# რატომ არ გაიარა კარანტინი ბრიუსელიდან დაბრუნებულმა ზალკალიანმა



ბრიუსელიდან დაბრუნებული საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი კარანტინში არ იმყოფება.

ზალკალიანი მთავრობის ადმინისტრაციაში 16 ივლისს მინისტრთა კაბინეტის სხდომას ესწრებოდა.

მინისტრი ბრიუსელს ვიზიტით 2 დღის წინ სტუმრობდა და საქართველოში 15 ივლისს დაბრუნდა.

მთავრობას „ევროპულმა საქართველომ“ მიმართა შეკითხვით, გადის თუ არა უცხოეთიდან დაბრუნებული ზალკალიანი 2-კვირიან სავალდებულო კარანტინს და თუ არ გადის, რატომ სარგებლობს ის სხვა მოქალაქეებთან შედარებით პრივილეგირებული მდგომარეობით.

— თუ არ გაივლის ბატონი ზალკალიანი სავალდებულო ორკვირიან კარანტინს, მთავრობამ უნდა გააკეთოს განმარტება — რატომ არის გამონაკლისი ბატონი ზალკალიანი სხვა კეთილსინდისიერ მოქალაქეებთან მიმართებაში, მით უმეტეს, რომ იგი იმყოფებოდა „გაუმწვანებელ“ ქვეყანაში და რატომ უნდა გაიარონ კარანტინი იმ მოქალაქეებმა, რომლებიც იმყოფებოდნენ ე.წ. გამწვანებულ ქვეყნებში და რომელთა მოქალაქეებსაც ამავე დროს კარანტინს არ ვთხოვთ, — აღნიშნა კანდელაკმა.

# ყარაჯალაში კოვიდ 19-ის არსებობის არ სჯერათ

ყარაჯალა კიდევ ერთი სოფელია საქართველოში, სადაც კორონავირუსის არ სჯერათ.

ე.წ. ოქროს სტანდარტით ჩატარებული პისიარ ტესტით დადგენილია, რომ 10 თვის ბავშვს კოვიდ 19 აქვს, თუმცა ადგილობრივები ფაქტს კატეგორიულად უარყოფენ, მათი არგუმენტია, რომ სოფელში კოვიდ 19-ის არც ერთი დადასტურებული შემთხვევა არ არის გამოვლენილი, არც ჩვილის ოჯახის წევრები არიან ინფიცირებულები.

ადგილზე მისულ „კურიერის“ გადამღებ ჯგუფს უთხრეს, რომ ბავშვის სიმპტომები კბილის ამოსვლას უკავშირდება. ჩვილის ბებია და პაპა კი ამტკიცებენ, რომ ტემპერატურა, დიარეა და ცხელება ბავშვის მოწამვლამ გამოიწვია. ისინი ექიმების წინააღმდეგ სამართლებრივ ბრძოლას აპირებენ.

სოფელ ყარაჯალაში კი პარალელურად ეპიდემიოლოგები ინფიცირებულის წყაროს და კავშირებს ეძებენ. მედიკოსებმა წყაროს ამ დრომდე ვერ მიაგნეს, 17 კავშირი კი უკვე მოძიებულია.

10 თვის ბავშვი თელავის სამედიცინო ცენტრიდან თბილისში დედასთან ერთად ბავშვთა ინფექციურ საავადმყოფოში გადმოიყვანეს. ექიმების ინფორმაციით, პატარას ვირუსი ნაწლავური ინფექციით და ტემპერატურით დაეწყო, ახლა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. პაციენტის მონაცემები 2-ჯერ პისიარ ტესტით გადამოწმდა.

16 ივლისს დადასტურდა კიდევ ერთი შემთხვევა, სადაც ასევე უცნობია, რა გახდა 72 წლის კაცის ინფიცირების წყარო. ხანშიშესული მამაკაცი მცხეთის სამედიცინო ცენტრში ბოქსირებულ განყოფილებაში გადის მკურნალობას.

ამ დრომდე მიმდინარეობს პაციენტის კონტაქტების კვლევა.

ქვეყანაში ვირუსი ისევ ცირკულირებს, თუმცა ჯანდაცვის მინისტრი ამბობს, რომ დღის განმავლობაში დადასტურებული ერთეული შემთხვევები, რომლის წყაროც უცნობია, არ ნიშნავს, რომ ვირუსი უფრო გააქტიურდა, თუმცა თვლის, რომ საყურადღებოა.

საქართველოში დღის განმავლობაში ინფიცირებულთა რიცხვი 10-ს არ აღემატება. მათი უმრავლესობა იმპორტირებულია. უკვე 70-ს აღწევს სატვირთო ავტომობილების ინფიცირებული მძღოლების რაოდენობა საქართველოში.

მათ შორის არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეებიც.

# ნინო ცაციაშვილი გამომძიებლებისთვის ტრენინგების გახსნას დაესწრო



შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო ცაციაშვილი, ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელის მოადგილე ვაჰაგ მურადიანთან ერთად, შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლებისთვის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სამართლებრივი და ფსიქოლოგიური ასპექტების შესახებ გამართული ტრენინგის გახსნას დაესწრო და ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიმართა.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ისაუბრა მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილი არასრულწლოვნების უფლებებისა და ინტერესების დაცვის მექანიზმის გაუმჯობესების და ამ მიმართულებით სამართალდამცველთა შესაძლებლობების გაძლიერების მნიშვნელობაზე. ნინო ცაციაშვილმა ევროპის საბჭოს აქტიური მხარდაჭერისა და თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა.

ტრენინგის მონაწილეებს, ასევე, სიტყვით მიმართა ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელის მოადგილემ — ვაჰაგ მურადიანმა და აღნიშნა, რომ ევროპის საბჭო მზაობას გამოთქვამს მხარდაჭერის და გამომძიებელთა შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით სწავლებების გაგრძელების შესახებ.

აღნიშნული ტრენინგი ევროპის საბჭოს პროექტის — „არასრულწლოვან და ზრდასრულ თავისუფლებააღკვეთილ პირთა მხარდაჭერა“ — ფარგლებში იმართება.

ტრენინგ-მოდული ეფუძნება ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების სასწავლო მასალას და დატვირთულია როგორც თეორიული, ასევე, პრაქტიკული ასპექტებით.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიურად განაგრძობს თანამშრომლობას, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში გამომძიებელთა კომპეტენციისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით.

# დავით კირკიტაძე: „მრავალწლიანმა ბრძოლამ შედეგი გამოიღო“

## რუსთავში 250 ოჯახს სახლები საკუთრებაში გადაეცემა



— მრავალწლიანმა ბრძოლამ შედეგი გამოიღო, — ასე აფასებს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის რუსთავის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით კირკიტაძე მთავრობის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც რუსთავში მცხოვრებ 250 ოჯახს საცხოვრებელი სახლები საკუთრებაში გადაეცემა.

დავით კირკიტაძის განცხადებით, არ შეწყდება ბრძოლა იმისთვის, რომ ადგილობრივებს ძალიან მალე გადაეცეთ საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

— ეს არის ჩვენი ბრძოლის შედეგი. მინდა მივულოცო იმ ოჯახებს, რომლებსაც სახლები გადაეცემათ და ექნებათ საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა. შექმნიან იქ ამხანაგობებს, რაც გააუმჯობესებს საყოფაცხოვრებო პირობებს.

მოგეხსენებათ, გვქონდა არაერთი მიმოწერა ეკონომიკისა და შესაბამის სამინისტროებთან, მუნიციპალიტეტებთან. მას შემდეგ, რაც ჩვენმა მწვავე პროტესტმა ნათია თურნავას მშენებარე სახლთან გადაინაცვლა, მოხდა ამ პრობლემის ფორსირება. მთავრობამ საბოლოო ჯამში მიიღო გადაწყვეტილება და ეს სახლები ამ ადამიანებს გადაეცემათ.

ჩვენ ვაგრძელებთ ბრძოლას იმისთვის, რომ ადგილზე მუნიციპალიტეტებმა ან ჩინოვნიკებმა კვლავ არ მოაწყონ მათთვის ჩვეული ობსტრუქცია, არ შექმნან ბარიერები.

ეს ადამიანები იმსახურებენ, ჰქონდეთ საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა, ნორმალური ყოფითი პირობები. ჩვენ ყველაფერს ისე გავაკეთებთ, როგორც შევპირდით, — აღნიშნა კირკიტაძემ.

# „მან დაასამარა აზერბაიჯანის და საქართველოს დამოუკიდებლობა“

## მარნეულში ნარიმანოვის ძეგლის აღება მოითხოვეს

16 ივლისს მარნეულის ცენტრში, კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მშვიდობიანი საპროტესტო აქცია გაიმართა.





აქციის მონაწილეები მარნეულის თვითმმართველობისგან მოითხოვდნენ, რომ მიიღოს გადაწყვეტილება ნარიმან ნარიმანოვის ძეგლის აღებასთან დაკავშირებით. აქციას ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, სასულიერო პირები და „ქართული მარშის“ წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

სკვერში შეკრებილებს სიტყვით მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიის ეპისკოპოსმა, მეუფე გიორგიმ (ჯამდელიანი) მიმართა. მანამდე კი სასულიერო პირებმა სამშვიდობო პარაკლისი გადაიხადეს.

— გარკვეული საზოგადოება შეიკრიბა დღეს აქ, რათა თავისი პოზიცია მიაწვდინოს უპირველეს ყოვლისა თვითმმართველ ქალაქს, მათ ხელისუფალთ, მათ საკრებულოს, მერს და იმ პირებს, ვისაც ხელეწიფების სამართლიანად გადაჭრა საკითხისა. მე, რა თქმა უნდა, ჩემს სამწყსოს ვუერთდები, მოვედი, გადავიხადე პარაკლისი და ამ ხმას, რა თქმა უნდა, მეც ვუერთდები.

აი, ჩვენ ვართ ამ სკვერში, ჩვენ წინ დგას ძეგლი, ახლა პირველ რიგში, ვთქვათ, რა არის ძეგლი, რა დანიშნულება აქვს მას. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ძეგლი არის ღირებულების, ფასეულობის მატარებელი, შინაარსის, ისტორიის მატარებელი. ჩვენ ძეგლებს ვუდგამთ იმ ადამიანებს, ვისაც ამა თუ ამ ქვეყნის წინაშე აქვს განსაკუთრებული როლი და დამსახურება, თორემ რამდენი არის გმირი, რომელთა ძეგლები არა გვაქვს ჩვენ, რომელთა სახელები მივიწყებას მიეცა დღეს.

დავუბრუნდები ნარიმან ნარიმანოვის ძეგლს, მის პიროვნებას, იქნება მართლაც რაიმე დამსახურება აქვს ამ ადამიანს და დგას ეს ძეგლი?! არავითარი დამსახურება მას ჩვენი ქვეყნის მიმართ, მტრობის მეტი, ჩვენი წინაპართა სისხლის დაღვრის მეტი, ჩვენი სახელმწიფოებრიობის, თვითმყოფადობის ხელყოფის მეტი, სხვა როლი ჩვენი ქვეყნის წინაშე არაფერი არა აქვს, როგორც იმ გამყიდველ, ავადსახსენებელ გვარით ქართველებს სერგო ორჯონიკიძეს, ფილიპე მახარაძეს.

მე ყველა სიტყვაზე ვარ პასუხისმგებელი, რასაც მე ვიძახი. დაიდო საექსპერტო დასკვნა ჩვენი მეცნიერების, აკადემიკოსების და ირკვევა, რომ არამცთუ წითელ ტერორს შემოუძღვა ნარიმანოვი, ორჯონიკიძე, ავადსახსენებელი ფილიპე მახარაძე და სხვები ჩვენს ქვეყანაში და მიუხედავად იმისა, რომ აქ დაბადებული კაცი იყო და ეთნიკურად აზერბაიჯანელი, დაასამარა ჯერ აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა, მერე დაასამარა საქართველოს დამოუკიდებლობა, როგორც ასევე სომხეთის. თქვენ იცით, მოეწყო მერე დევნა ყველა იმ მამულიშვილისა, ვინც ხმას აღიმაღლებდა ამ ყველაფრის წინაშე.

თქვენ იცით?— სისხლში ჩაახშო ქაქუცა ჩოლოყაშვილის აჯანყება, ყველა სამხედრო ოპერაციას ხელმძღვანელობდა ნარიმანოვი, ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე. უფრო მეტს გეტყვით, ირკვევა, რომ ნარიმანოვს ხელი აქვს მოწერილი გამყიდველ ქართველ ფილიპე მახარაძესთან ერთად, მთელი ზაქათალის ოლქის გადაცემაში და გარეჯი-ქვემო ყარაიას ველების, საძოვრების გადაცემაში. გესმით ხალხო, აი ეს დამსახურება აქვს ნარიმანოვს, — განაცხადა აქციაზე სიტყვით გამოსვლისას მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიის ეპისკოპოსმა მეუფე გიორგიმ.

აქციის მონაწილეების განცხადებით, ეს იყო გამაფრთხილებელი აქცია, თუ ძეგლის აღების თაობაზე მარნეულის საკრებულო გადაწყვეტილებას დროულად არ მიიღებს, აქციებს პერმანენტულად გამართავენ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალაგაძე
სარეკლამო სამსახური — 599-532-690
დირექტორი — ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გია ხუხაშვილი: „ბიძინა მძიმე დილემის წინაშეა, იქ ხომ საგიჟეთია!“

## „ირაკლი კობახიძე პოლიტიკის წითელი ნაჭერია“

იაგო ნაცვლიშვილი

**საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გიორგი შაქარაშვილის საქმესთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ვაჟკაცობა ერთი ერთზე ჩხუბია. ამ უცნაურ განცხადებას საზოგადოებაში დიდი რეზონანსი მოჰყვა.**

როგორ უნდა გავიგოთ პრეზიდენტის ეს განცხადება, ხომ არ არის ეს ერთი ერთზე ჩხუბის წახალისება, რას ნიშნავს „ქართული ოცნების“ შტაბის ხელმძღვანელად ირაკლი კობახიძის დანიშვნა, რა ეჭვებს იწვევს კომუნიკაციების კანონში შესატანი ცვლილებები და რა ზეგავლენას მოახდენს ეს საინვესტიციო გარემოზე? – ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **გია ხუხაშვილი** საუბრობს.

***– პრეზიდენტმა უცნაური განცხადება გააკეთა. თქვა, რომ ერთი ერთზე ჩხუბია ვაჟკაცობა. თქვენთვის რას ნიშნავდა მისი ეს განცხადება, ძალადობის წახალისება ხომ არ არის, ოღონდ ერთი ერთზე ძალადობის?***

– არაფრის წახალისება არ არის. ამ ადამიანს რალაცის გაფუჭება შეუძლია, მაგრამ არაფრის წახალისება არ შეუძლია. ეს არის ყალბი რომანტიზმი, გასული საუკუნეების ყალბი რომანტიზმია. ეს იყო მე-18-19 საუკუნეებში, მერე გასული საუკუნის 60-იან წლებში ერთი ერთზე ჩხუბობდნენ და ა. შ. იმ რომანტიკაშია ჩარჩენილი, წარსულის რომანტიზმით ცხოვრობს. ვერ გაიზარდა და ვერ განვითარდა. იქ არის ჩარჩენილი ეს ქალბატონი.

***– ერთ დროს მონარქიაც იყო და იმის დაბრუნებაც ხომ არ უნდა მოინდომოს?***

– შეიძლება. დუელები იყო და დუელების ამბავში ილაპარაკა და არა იმგვარად, რომ რალაცის წახალისება ილაპარაკა. ყარაჩოღლური, თავისი ქმრისგან ან თავისი მშობლებისგან მოსმენილი ნარატივით აზროვნებს. თვითონ თავისი ვერაფერი ვერ შესძინა.

***– უცნაურად „გააპრავა“ გია ვოლსკიმ პრეზიდენტის განცხადება, რომელმაც თქვა, რომ როდესაც ასეთი ბოროტი ოპოზიცია გვყავს, ასეთი განცხადებები არ უნდა გააკეთოო. ამ განცხადებაზე რას იტყოდით?***

– გია ვოლსკიც იქ არის დარჩენილი. ასე რომ, ფერი ფერსა და მადლი ღმერთსაო.

***– „ოცნებამ“ ირაკლი კობახიძე დანიშნა საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელად. როგორ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება და რას მოუტანს ეს „ქართულ ოცნებას“?***

– არ ვიცი. რა მნიშვნელობა აქვს, სად იქნება კობახიძე. ეს ერთადერთი იმის ნიშანი შეიძლება იყოს, რომ საარჩევნო კამპანია იქნება მაქსიმალურად აგრესიული. იმიტომ, რომ ადრეც გითხარით, ირაკლი კობახიძე არის წითელი ნაჭერი ქართულ პოლიტიკურ კორიდაზე და მისი წინ გამოჩენა ნიშნავს, რომ ისევ კორიდაზე მოგვიწევს ბრძოლა და არა რალაცა ცივილიზებულ პოლიტიკურ პროცესში.

***– მხოლოდ ამას ნიშნავს კობახიძის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელობა?***

– ბევრი რამეა, მაგრამ ეს სხვა სპეციალობის ადამიანებს უნდა ჰკითხოთ – ზოგი ფსიქოლოგებს ჰკითხეთ, ზოგი ფსიქიატრებს, ზოგი სხვებს და სხვებს. ყველაფერზე მე ნუ მალაპარაკებთ.

***– ირაკლი კობახიძე ასოცირდება გავრილოვის ღამესთანაც. ამ თემასთან ბმასაც ხომ არ ხედავთ?***



– არა მგონია, ეს თემა ამ ვითარებაში ყველაზე მნიშვნელოვანი თემა იყოს. სხვა პრობლემებია ქვეყნის წინაშე და უფრო მნიშვნელოვანი საკითხები. გასაგებია, რომ პოლიტტექნოლოგიურად ვილაცა აქცენტს გააკეთებს გავრილოვის ღამეზე. დამერწმუნეთ, რომ ირაკლი კობახიძეს ბევრად უფრო სერიოზული პრობლემები აქვს, ვიდრე ეს გავრილოვია.

***– რა პრობლემები?***

– ამაზე კომენტარისგან თავს შევიკავებ. მე გითხარით, რომ მე არ ვარ ამ დარგის სპეციალისტი, რომ ამაზე კომპეტენტურად ვილაპარაკო.

***– „ოცნების“ შანსს რაში ხედავთ?***

– მას აქვს რესურსები მონოპოლიზებული და ოპოზიციაც ვერ გამოიყურება მთლად წელში გამართულად და ადეკვატურად.



***– უკვე ჩანს „ოცნების“ რიტორიკაში დენდროლოგიურ პარკზე საუბარი. ამ თემაზეც ხომ არ ააგებენ კამპანიას?***

– დენდროლოგიურ პარკზე საარჩევნო კამპანიის მიბმა ღრმად არასერიოზულია. ამისთვის მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის, იმიტომ, რომ ეს ნამდვილად კარგი საქმეა, მაგრამ არ არის იმ მასშტაბის პოლიტიკური მოვლენა, რომ ამაზე მოხდეს მთელი პოლიტიკის აგება.

***– ელოდებით თუ არა, რომ ბიძინა ივანიშვილი გამოვა საარჩევნო კამპანიაში?***

– არ ვიცი. მას წინააღმდეგობრივი განწყობა აქვს. მას ეს ძალიან არ უნდა. იმიტომ, რომ ის მოდელი, რომლითაც ის ინარჩუნებს ძალაუფლებას, მას აკმაყოფილებს. მაგრამ ამ მოდელს ახლავს თავისი პრობლემები, რის გამოც შესაძლოა ის გამოჩნდეს. ეს მე არ ვიცი. ის საკმაოდ მძიმე დილემის წინაშე დგას და რა გადაწყვეტილებას მიიღებს, ეს მე არ ვიცი. იქ ხომ საგიჟეთია! ერთი ეტყვის ასე, მეორე ეტყვის ისე. ფაქტობრივად თქვენ ახლა იმ კითხვას მისვამთ, რაზეც მხოლოდ „არიოლი“ და „რეშკა“ უნდა ავაგდოთ და რაც დაჯდება, ისე გააკეთებს.

***– დიდი ხმაურია კომუნიკაციების კანონში შესატან ცვლილებებზე. თქვენ ბრძანდებით ეკონომისტიც და როგორ უყურებთ ამ საკითხს, იქონიებს თუ არა ეს გავლენას საინვესტიციო გარემოს გაუარესებაზეც?***

– რა არის იცით, მთლიანად კანონზე არ ვისაუბრებ. არც ვიცნობ დეტალებში. საერთოდ უდანაშაულობის პრეზუმპციის პრინციპი მიმაჩნია უნივერსალურ პრინციპად. მთავარი ის არის, რომ თუ კერძო სუბიექტი ასაჩივრებს ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, კომუნიკაციების გადაწყვეტილების, ეს სანქცია არ უნდა მუშაობდეს და არ უნდა ამუშავდეს მანამდე, სანამ სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას. ეს არის უნივერსალური და მტკიცების ტვირთი უნდა იყოს ხელისუფლების მხარეს, როდესაც რალაც არის სადავო.

გარდა ამისა, კომუნიკაციების კომისიას უნდა ჰქონდეს გარკვეული უფლებები რეგულაციისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ ვეხებით სენსიტიურ დარგებს, მაგრამ ეს არ უნდა იყოს გამოყენებული ბოროტად. ეს არის პრინციპი – უდანაშაულობის პრინციპი ბიზნესის მხრიდან. იმიტომ, რომ ძალიან სპეციფიკურია ბიზნესი. თუ სახელმწიფო ორგანოს – მარეგულირებელს მივეცით იმის ინსტრუმენტი, რომ მან ნებისმიერი სანქციები მიიღოს, მათ შორის ისე, რომ მხარეს არ მისცეს ამის გასაჩივრების შესაძლებლობა და შესაბამისად შეჩერების საშუალება, ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება ისეთი ზარალი მიიღოს, რომ ეს იყოს კრიტიკული ზარალი და ფუნქციონირება შეწყვიტოს. აქედან გამომდინარე დავის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი უნდა იყოს მარეგულირებელ კომისიაზე და არა – კერძო სუბიექტზე.

***– იმან არ გაგიჩინათ გარკვეული კითხვები, რომ ფაქტობრივად საგანგებო მდგომარეობაში შეიკრიბა უმრავლესობა. როცა ღამის 1 საათზე იხილავენ საკითხებს?***

– ბუნებრივია, ეს კითხვებს აჩენს და შეიძლება შორს წავიდეს, რომ ხომ არ აქვს ვინმეს ამ სფეროს კონტროლის ინტერესი, ან კონკრეტული კომპანიების მიმართ ინტერესი. ეს კითხვები იბადება, როდესაც ასე არაჯანსაღ ვითარებაში ხდება განხილვა.

***– არჩევნებთან ბმაც ხომ არ დაინახეთ?***

– არჩევნებთან ბმას მაინცდამაინც ვერ ვხედავ. იმიტომ, რომ ეს კომპანიები, რომლებზეც ახლა ჩვენ ვსაუბრობთ, პოლიტიკურად სენსიტიურები ნამდვილად არ არიან. ისინი საკმაოდ ლოიალურები არიან ხელისუფლების მიმართ, რბილად რომ ვთქვათ. რა პრობლემა უნდა ჰქონოდათ მათთან?!

***– საფრთხე ხომ არ დაინახეს, რომ ოპოზიციის მხარეს გადაიხარონ, რალაცა თანხები შესწირონ მათ და ამის კონტროლი ხომ არ ჩანს?***

– არა. ილუზიაა ეს. ჩვენთან ბიზნესი მანამდე არ გაზრდილა ჯერ, რომ ოპოზიციას რალაცა გადაუხადოს. ისინი მხოლოდ თავის ტყავზე ფიქრობენ.

***– კი, მაგრამ იმასაც ხომ ხედავენ ხოლმე, საიდანაც უბერავს ქარი და იქით იხრებიან?***

– არა მგონია. თუ ვინმეს ამის გაკეთება უნდა, ისეთი ფორმით გააკეთებს, რომ ამის შესახებ ვერავინ ვერაფერს ვერ გაიგებს.

# „ქართული ოცნების“ რეალური რეიტინგი 20%-ია“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „თუკი ივანიშვილი გაბედავს უხეშ გაყალბებას, ბიულეტენების წიხლით ჩატენას და ე.წ. სომხურ კარუსელს, მაშინ სანქციები გარდაუვალი იქნება“

ნათია ხურცილავა

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ლაშა, მამუკა მდინარაძემ პარტიის მიერ ჩატარებულ შიდა სოციოლოგიურ კვლევებზე ისაუბრა. ის ამბობს, რომ 55%-ზე ბევრად მეტი აქვთ. რა გზავნილია ეს მათი მხრიდან?***

– ოცნებას კაცი არ მოუკლავს, თუმცა, ესენი კლავენ. ამგვარი არასერიოზული განცხადებების მიზანი ერთი მხრივ საკუთარი მომხრეების მობილიზება და გამხნევება, მეორე მხრივ კი, რა თქმა უნდა, გაყალბების მცდელობა იქნება. ამის წინაპირობა იყო თუნდაც ის, რომ საარჩევნო კანონმდებლობაში რეალური ცვლილებები არ შესულა. გასაგებია, რომ პოლიტიკურმა სპექტრმა, საზოგადოებამ თავგანწირვის შედეგად ნაწილობრივი პროპორციული საარჩევნო სისტემა მოვიპოვეთ, მაგრამ კარგი არჩევნების ჩასატარებლად ეს არ არის საკმარისი. კარგი იქნებოდა, რომ კანონმდებლობა მიახლოებული მაინც ყოფილიყო დასავლურ, ცივილიზებულ საარჩევნო კანონმდებლობასთან, რაც სრულიად შეგნებულად არ მოხდა, რათა გაყალბების მექანიზმი ბოლომდე არ ამოძირკულიყო.

***– 55% გვაქვს „გორბის“ გამოკითხვებით, თუმცა შიდა კვლევებით ბევრად მეტიო – ამბობენ „ოცნებაში“.***

– რამდენიც უნდათ იმდენი პროცენტი დაიწერონ, რეალობა სულ სხვაზე მეტყველებს. მე ვფიქრობ, „ქართული ოცნების“ რეალური რეიტინგი 20%-ის ფარგლებში უნდა ლავირებდეს. ამიტომ დაიტოვა მრავალი მექანიზმი ხელისუფლებამ არჩევნებზე ზემოქმედებისთვის. თუმცა, ნებისმიერ არჩევნებში ბოლო სიტყვა ამომრჩეველს ეკუთვნის. საქართველოს მოქალაქეების მა-



ღალი აქტივობის შემთხვევაში, არჩევნებში ამომრჩევლის აქტიური მონაწილეობის შემთხვევაში ხელისუფლება მათი ნების წინააღმდეგ ვერ წავა. ამ შემთხვევაში ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეები, ნამდვილად დავძლევთ ივანიშვილის რეჟიმის ბოლო აგონიურ გაბრძოლებას. ეს აბსოლუტურად რეალურია თუ ამომრჩევლის დაახლოებით 70% მაინც მივა არჩევნებზე. ამ შემთხვევაში მათ გაყალბების რესურსი აღარ ეყოფათ. ვინც არჩევნებზე არ მიდის, ის სამშობლოს მტერია, რაოდენ მკაცრიც არ უნდა ვიყო.

***– ამომრჩეველი იმედგაცრუებულია, რაც ყველა სოციოლოგიურ კვლევაში ჩანს.***

– გასაგებია, მაგრამ ბევრ სახელმწიფოში არჩევნებზე მისვლა სავალდებულოც კი არის, თუ არ მივა მოქალაქე არჩევნებზე, ჯარიმის გადახდა უწევს. ჩვენი ინიციატივა იყო, სავალდებულო გამხდარიყო მონაწილეობა და ამისთვის ჯარიმა კი არა, პირიქით, წამახალისებლად გარკვეული თანხაც კი მიგვეცა, მაგრამ ეს არ გაიზიარეს. ადამიანებმა თავიანთი ქვეყნის მომავლის მშენებლობაში უნდა მიიღონ მონაწილეობა არა სამზარეულოებიდან, არამედ რეალურად, იქიდან, საიდანაც ეს ყველაზე უკეთესად არის შესაძლებელი.

გულგრილობა და სახლში ჯდომა დანაშაულის ტოლფასია, მით უფრო, ასეთი მნიშვნელოვანი არჩევნების დროს, როდესაც ქვეყნის ბედი წყდება. კიდევ ერთხელ გვეძლევა შანსი და ჩვენ ეს შანსი უნდა გამოვიყენოთ. არსებული ავტორიტარული რეჟიმი ახალი ავტორიტარიზმით კი არ უნდა ჩავანაცვლოთ, არამედ დავასრულოთ ბოლშევიკური ერთპარტიული მმართველობა ერთხელ და საბოლოოდ და რეალურად მივიღოთ მრავალპარტიული მმართველობა.

***– მრავალპარტიული მმართველობა რამდენად რეალურია?***

– სავსებით რეალურია თუ ამომრჩევლის აქტივობა მაღალი იქნება და გაყალბების შანსი ნაკლები ექნებათ!

***– რამდენად ელოდებით თუნდაც გაყალბებას, მით უფრო, როდესაც მთელი დასავლეთი გამადიდებელი შუშით დააკვირდება ამ არჩევნებს? ასევე, როდესაც ღიად არის საუბარი სანქციებზე. ქვეყანას უკვე დაედო 15% სანქცია.***

– ინდივიდუალური სანქციებიც უკვე რეალურია. დასავლეთის არნახული კრიტიკა და სანქციებამდე მისვლაც, ხელისუფლების აღვირახსნილი მოქმედებების შედეგია, რაც, რასაკვირველია, მონაგონი იქნება იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების მიმართ გაჩნდება კითხვები. თუ ასეთი კითხვები გაჩნდება დასავლეთის მხრიდან, მაშინ ეს იქნება საბედისწერო განაჩენი „ქართული ოცნებისთვის“. ამიტომ არის ძალიან მნიშვნელოვანი ამომრჩევლის აქტივობა, მისი ნების ღიად დაფიქსირება, ამ შემთხვევაში დასავლეთის მხარდაჭერაც ბევრად უფრო ძლიერი იქნება. თუკი ივანიშვილი გაბედავს უხეშ გაყალბებას, ბიულეტენების წიხლით ჩატენას და ე.წ. სომხურ კარუსელს, მაშინ სანქციები გარდაუვალი იქნება და ეს იქნება ხელისუფლების დათმობის წინაპირობა.

***– ალბათ ბიულეტენს ურნაში ღიად არავინ არ ჩაყრის, არც კარაქისა და შაქრის დარიგება იქნება. თუმცა, ვალების ისევ ჩამოწერა რამდენად არის მოსალოდნელი?***

– სამწუხაროდ, არც უხახვობა და უკარტოფილობა იყო და ეს სულ ახლახან ხდებოდა. სიღატაკეში როდესაც დატოვებ ადამიანს, რაც არ უნდა 21-ე საუკუნე იყოს, ხახვიც აქტუალური ხდება და შაქარიც.

მე არ გამოვრიცხავ, რომ იმ კატასტროფული ჯარიმების ჩამოწერა იყოს, რომელიც ადამიანებმა საგანგებო მდგომარეობის დროს მიიღეს. ეს არის ანტიკონსტიტუციური ჯარიმა და მისი ჩამოწერა დამსახურებაში არ უნდა ჩაეთვალოს ხელისუფლებას. ეს იქნება ფანდი. ნებისმიერ შემთხვევაში ამ ჯარიმებს ახალი ხელისუფლება ყველა შემთხვევაში ჩამოწერს. ასევე იქნება აღვირახსნილი პროპაგანდა. ყველაფერს იკადრებენ, ამჯერად შეუძლიათ სისხლიანი ბანერები „ქართული ოცნების“ წევრების მონაწილეობით დაკიდონ, ვურჩევდი ვანო ზარდიაშვილის, ლევან მურუსიძის, წინა ხელისუფლების სხვა ჯალათების პორტრეტებთან ერთად, მაშინ როდესაც, დღეს, „ოცნებაში“ უფრო მეტი ნაცია, ვიდრე „ნაცებში“.

ხოლო რაც შეეხება კობახიძის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელად დანიშვნას, ეს ძალიან მაგონებს თავის დროზე ვიტალი ხაზარაძის დაწინაურებას, ისევე, როგორც სააკაშვილის მიერ მერაბიშვილის გაპრემიერებას. ბოლო სტადიაზე აგონიაში მყოფ ყველა ხელისუფლებას ისლა დარჩენია, რომ მონური ერთგულება ერთი ორად დააფასოს.



**შევიძენ**

**ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.**

**ტელ.: 598-43-98-57**

# გოგი წულაია: „ირაკლი კობახიძეზე ამდენს იმიტომ ლაპარაკობენ, რომ ორპოლუსიანობა შენარჩუნდეს“

## „საქართველოში მწეველები მაინც არიან და სიგარეტის გაძვირებასა და კონტრაბანდის ხელშეწყობას, ხელისუფლებამ, ჯობია, თამბაქოს მრეწველობა აალორძინოს“

მარიამ მჭედლიშვილი

რამდენიმე აქტუალურ საკითხზე „ახალი თობა“ ესაუბრა „თავისუფალი საქართველოს“ თანათავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატ გოგი წულაიას.



***– ამ ორი დღის განმავლობაში პოლიტიკური სპექტრი შეფასებებს აძლევს ირაკლი კობახიძის გამწესებას „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელად. ეს ასეთი საყურადღებო საკითხია, რომ ამაზე ამდენს საუბრობენ?***

– ნამდვილად არ არის ეს მნიშვნელოვანი და საყურადღებო საკითხი. ამაზე იმიტომ ატეხეს ამხელა ამბავი, რომ ჯერ ერთი, ეთერები რაღაცით უნდა შეავსონ. მეორეც, ვიღაცას სჭირდება ირაკლი კობახიძის, როგორც ანტინაციონალის გაპიარება. ხალხს ეუბნებიან, რომ ირაკლი კობახიძე ნაციონალებთან მებრძოლი ლომია. ის საარჩევნოდ ითავხედებს, იუზრდელებს და ნაციონალებს მოერევა.

***– სინამდვილეში რა ხდება?***

– სინამდვილეში, რისი და ვისი მომრევია კობახიძე? წლების განმავლობაში ის მიჰყვება იმ დღის წესრიგს, რასაც მისი მოწინააღმდეგეები ადგენენ. ჩემდა სამწუხაროდ და ქვეყნისთვის საუბედუროდ, ნაციონალურმა მოძრაობამ „ქართული ოცნება“ დაამარცხა. ხელისუფლება აკეთებს იმას, რასაც მოითხოვს ნაციონალური მოძრაობა. რაც უნდა იძახონ ასე არ არისო, სიმართლე არ იქნება. საბოლოო ჯამში, ირაკლი კობახიძეზე ამდენს იმიტომ ლაპარაკობენ, რომ ორპოლუსიანობა შენარჩუნდეს. ყველამ ვიცით, რომ ქოცებს და ნაცებს ერთმანეთის გარდა არავინ უნდათ.



***– ბიძინა ივანიშვილის გააქტიურებაც შევიდა პოლიტიკურ რეპერტუარში. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები გვეუბნებიან, რომ ივანიშვილი საარჩევნოდ გარეთ გამოვა და შეიძლება საარჩევნო სიის სათავეშიც ჩაჯდეს. არის აგრეთვე ვერსია იმის შესახებ, რომ იგი პოლიტიკიდან მიდის.***

– მე ამ ბოლო ვერსიას ვემხრობი. ამას ადასტურებს ხელისუფლებისა და „ქართული ოცნების“ ბოლოდროინდელი მოქმედებები. ეს ხალხი ისე იქცევა, რომ არ აირჩიონ. ამ ადამიანების მოქმედებები დაახლოებით ასეთია: ამომრჩეველს მიმართავენ, თქვე შობელძაღლებო, ჩვენ არ აგვირჩიოთო. ეტყობა, ბიძინა ივანიშვილი მიიღებს გარანტიებს და პოლიტიკიდან წავა.

***– ვისგან მიიღებს გარანტიებს?***

– ამერიკელებისა და ევროპელებისაგან. შიგნითაც ექნება მოლაპარაკებები, გადაბარება და კოალიციით ჩანაცვლებაზე საუბარი. არ გახსოვთ, სააკაშვილმაც მიიღო გარანტიები 2012 წელს. არჩევნების შემდეგ ჯერ გამოგვიცხადეს, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ გაიმარჯვა, ნახევარ საათში კი სულ სხვა ინფორმაცია მოგვაწოდეს. მაშინ ნაციონალურმა მოძრაობამ დამარცხება აღიარა. ახლა ზუსტად იგივე განმეორდება და ივანიშვილი პოლიტიკიდან წავა. არჩევნების წინ, როცა აქტიურობდა, სამი თვით ადრე ეს უკვე ჩანდა.

***– ახლაც ამბობენ, გააქტიურდებაო.***

– არა. ახალა სხვა სიტუაციაა. ივანიშვილი არც რეგიონულ ჟურნალისტებს ეკონტაქტება, არც ჩნდება. რომც გამოჩნდეს, უკვე დაგვიანებული იქნება. ხალხს კი ხელისუფლებასთან ბევრი სათქმელი დაუგროვდა. ადამიანები გაღატაკდნენ, უშემოსავლოდ დარჩნენ. სხვა საქონლის გაძვირება არ ეყოფოდათ, რომ ხელისუფლებამ სიგარეტი კიდევ ერთხელ გააძვირა?! ამ დღეებში სიგარეტზე ფასმა 10-15 თეთრით მოიმატა. ახლა არ მითხრან, თქვენს ჯანმრთელობაზე ვზრუნავთო!

***– იქნებ, ზრუნავენ?***

– როგორ გეკადრებათ! სიგარეტი მანამდე რამდენჯერმე გაძვირდა. საუბედუროდ, მწეველების რაოდენობა ამის გამო არ შემცირებულა. კონტრაბანდა კი გაიზარდა. მწეველები გადავიდნენ უფრო უხარისხო სიგარეტის მოწევასა და თუთუნის მოხმარებაზე. ორი დღის წინ ბრიფინგი გავმართე და ხელისუფლებას ინიციატივა შევთავაზე.

***– თამბაქოს სფეროს მოწესრიგებაზე?***

– დიახ. უნდა ავაღორძინოთ თამბაქოს მრეწველობა. ცუდი იყო საბჭოთა კავშირი თუ კარგი, ამას არ ვეხები. საქართველოში მაშინ მუშაობდა თამბაქოს ქარხნები თბილისში, ბათუმში, ლაგოდეხში და სხვაგან. აჭარაში საუკეთესო თუთუნი მოჰყავდათ. თქვე ოჯახაშენებულებო, როცა მწეველები მაინც არიან, კონტრაბანდა მძვინვარებს, ხალხი კი დაუსაქმებელია და შიმშილით სულს ღაფავს, არ ჯობია, ქართული, ხარისხიანი სიგარეტი გამოვუშვათ? ადგილობრივი სიგარეტი „კოსმოსი“ ხარისხიანი იყო. ახლა ადამიანები შემოსულ საწამლავს აბოლებენ, კონტრაბანდის გამო კი ამას წინათ ქალი დაიხრჩო მდინარეში. აშშ-ში მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში რომ მშრალი კანონი იყო, მაშინაც იხოცებოდნენ კონტრაბანდისტები, იმ შეზღუდვებს კი შედეგი არ მოჰყოლია.

***– საქართველოს სუსტი ეკონომიკა კატასტროფამდეა მისული და სხვა დარგებიც უნდა ამუშავდეს?***

– რასაკვირველია. ქართულ ჩაის ლამის მთელი საბჭოთა კავშირი აქებდა. ავიაციით დაწყებული, კონსერვებით დამთავრებული, თითქმის ყველაფერს ვუშვებდით. დღესაც შეიძლება ჩაის წარმოების ხელშეწყობა. ჩვენთან, ქუთაისში მშვენიერ ფეხსაცმელს კერავენ. ამ წარმოებას გაფართოება და რეკლამირება სჭირდება. სურსათის მაღაზიები სავსეა აზერბაიჯანული და თურქული ჩაით, ბაზრობები – ჩინური ფეხსაცმლით. ხომ შეგვიძლია, ჩვენი პროდუქცია შევიძინოთ! ესეც ტანკები და კომპიუტერები ხომ არ არის! ირანულ და თურქულ ხილბოსტნეულს მიაქვს ქვეყანა! ესეც არა გვაქვს ჩვენი სამყოფი. ლობიო რომ ლობიოა, ისიც უზბეკეთიდან და ყაზახეთიდან შემოდის. კვების მრეწველობას ესაჭიროება არა „სალიარკის“ და შხამქიმიკატების დარიგება არჩევნების წინ, არამედ, მაცივრების მოწყობა და რეალიზაცია.

***– ბოლო დროს ბევრს საუბრობენ შავი სამყაროს წარმომადგენლების კავშირებზე პოლიტიკოსებთან და იმაზე, რომ კრიმინალური ავტორიტეტები ეხმარებიან „ქართულ ოცნებას“ არჩევნების დროს.***

– შავი სამყაროს წარმომადგენლები ადრეც იყვნენ გარიგებულები სხვადასხვა ხელისუფლებასთან. ეს სულ იყო. რა, ნაციონალური მოძრაობა არ იყენებდა ამ ხალხს? როგორ არ იყენებდა! სხვადასხვა დოზით ეს ყოველთვის ხდებოდა. „ქართულ ოცნებას“ ეს უფრო აფიშირებული აქვს.

# მაია ნიკოლეიშვილი: „შაქარაშვილის საქმეზე რა ვერსიებსაც განიხილავენ, ორღობის ფანტაზიებია“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს, ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი პასუხობს.

***– ქალბატონო მაია, მოგეხსენებათ, საზოგადოებაში აგრესია მომატებულია. ახალგაზრდა ფეხბურთელის, შაქარაშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით დიდი აურზაურია ქვეყანაში. ცხადია, ყველა დაინტერესებული უნდა იყოს საქმის გამოძიებით, რათა გაირკვეს, რეალურად, რა მოხდა და როგორ მოხდა. თქვენ რა აზრი გაქვთ ამ საქმეზე?***

– ჩემი საკმაოდ ხანგრძლივი პროფესიული საქმიანობის პერიოდში, ასეთი ღია გამოძიება არ მინახავს. ეს არ არის გამოძიება. ეს არც ჟურნალისტური გამოძიებაა.

***– რატომ?***

– სამწუხაროდ, მედიის გარკვეული ნაწილი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის ცნებით მანიპულირებს. ვინ გაზომა ეს „მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი“. შეიძლება საზოგადოებაში ემოცია ძალიან მაღალი იყოს,

***– ისე, რეალურად, შაქარაშვილის მკვლელობის საქმეზე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი ხომ არის? ამას პროკურატურაც აღიარებს.***

– მოდით ასე ვთქვათ – მაღალ ემოციურ შკალაზე საზოგადოების ემოციური მდგომარეობის მაღალი მაჩვენებელია. საოცარი განცდაა, მაგრამ განცდა ხომ უნდა გაალვივო. მედიის ნაწილმა სწორედ ეს განცდა გაალვივა, აადუღა და მიიყვანა იქამდე, რომ ეს განცდა უმაღლეს დონეზე აიყვანა.

წარმოიდგინეთ, ერთ-ერთი მედიასაშუალება ქუჩაში დადიოდა და ადამიანებს ეკითხებოდა, დოლარის კურსმა რომ მოიმატა, თქვენზე როგორ იმოქმედა? ზუსტად ასევე ეკითხებოდნენ, ენდობით თუ არა გამოძიებას, როგორ მიდის გამოძიებაო. ეს ხომ პროფანაციაა. ეს არის საშინელება.

როგორ შეიძლება ქუჩაში ადამიანს ჰკითხო, როგორ მიდის გამოძიება, როცა მას არც იურიდიული განათლება აქვს და არც, საერთოდ, გამოძიების მასალებს არ იცნობს. ზოგიერთ პოლიტიკოსს რომ ვუყურე და ვუსმინე, გავოცდი.

***– რამ გაგაოცათ?***

– ამბობენ, გამოძიება სუსტია. რა იცი, საერთოდ, გამოძიება როგორია? ოდესღაც პარლამენტში რომ იჯექი, გგონია, რომ სხვაზე მეტად ჭკვიანი ხარ? ერთ რაღაცას დავაკვირდი – საერთოდ, ადამიანს მიკროფონს რომ მიუშვერენ, ყველას თავი ძალიან ჭკვიანი ჰგონია და მისი აზრი მნიშვნელოვანია. ასე ნამდვილად არ არის. მაპატიონ, მაგრამ დღეს ტელევიზიით ძალიან ბევრი შტერი ლაპარაკობს და აზრსაც გამოთქვამს.

როდესაც ჯერ კიდევ სიკვდილის მიზეზი არ იყო დადგენილი, პოლიტიკოსები ერთ-ერთ მედიასაშუალებაში არჩევდნენ, როგორ მიდის გამოძიება და რით დაიღუპა. ჯერ არავინ არაფერი იცის და მთელი ფანტაზიები ჩართეს ამ გარჩევაში. საქმეს მე ორღობის ფანტაზიებს ვეძახი. საქმეზე თითქოს ვერსიებს რომ განიხილავენ, ორღობის ფანტაზიებია.

ადამიანს შეიძლება თავში მილიონი აზრი მოგივიდეს, ანუ მილიონი ფანტაზია, მაგრამ ეს ვერსია არ არის. თუ განსაკუთრებული საშუალება გაქვს, რომ ტელეეთერით გამოხვიდე, შენს აზრს ვერსიას ნუ დაარქმევ. ვერსია რომ დაიბადოს, მას გარკვეული ობიექტური საფუძველი უნდა ჰქონდეს. ვერსიები ასე არ იბადება.

***– ასეთ გადაცემებში ადვოკატებიც რომ მონაწილეობენ და ე.წ. მტკიცებულებებს, მიცემულ ჩვენებებს განიხილავენ. თუკი ადვოკატები მედიას აწვდიან მტკიცებულებებს, მედიამ უარი უნდა თქვას?***



– არსებობს ჟურნალისტური გამოძიება, რომელსაც თავისი ჩარჩოები აქვს. ჟურნალისტი მტკიცებულებებს პოულობს და ჟურნალისტური გამოძიების პროდუქტი სასამართლოზე გავლენას ვერ მოახდენს. ჟურნალისტურმა გამოძიებამ სასამართლოზე გავლენა არ უნდა მოახდინოს, რადგან ჟურნალისტური გამოძიება, თავისი სახელიდან გამომდინარე, პროფესიული გამოძიება არ არის. არ შეიძლება ჟურნალისტურმა გამოძიებამ გავლენა მოახდინოს უდანაშაულობის პრეზუმპციაზე ან საგამოძიებო ორგანოების ბულინგი მოახდინოს.

თუ ჟურნალისტური გამოძიება ზემოქმედებისთვის იქნა გამოყენებული, ეს დაუშვებელია. რა ხდება სინამდვილეში? ადვოკატებს მიეცათ ეთერი, რომელსაც თავისი დაცვის ქვეშ მყოფების დასაცავად იყენებენ. ცდილობენ არსებული ვერსიები საზოგადოებას პირდაპირ თავს მოახვიონ. მე თუ მკითხავთ, ეს ადვოკატებიც ცდებიან. თვითცენზურა ხომ უნდა ჰქონდეთ.

***– ისინი დანაშაულად არ თვლიან.***

– დანაშაულია, იურისტები ხომ ჰყავთ? ჰკითხონ, რა შეიძლება გაუშვან და რა – არა. თორემ ადვოკატები თავისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის ყველაფერზე მიდიან, მაგრამ ჟურნალისტური გამოძიების ჩარჩო რატომ ავიწყდებათ? ასევე საშინელებაა გამოგონილი ვერსიების გახმოვანება, ვიღაცის ფანტაზიების გარჩევა.

მე, მაგალითად, ერთ-ერთ ტელევიზიას მისვლაზე უარი ვუთხარი. მიწვევაზე ვუპასუხე, რომ სატელევიზიო ისტერია ჩემთვის მიუღებელია. მოდით და ეს პოზიცია დააფიქსირეთო. მე რომ ეს პოზიცია დავაფიქსირო, ხომ ვიცი, ის წამყვანი განსხვავებულ აზრს ვერ იტანს, სტუდიაში დავას და ბრძოლას დამიწყებს. რატომ მივიდე, რისი გულისთვის.

განსხვავებულ აზრს ბევრ სტუდიაში ვერ იტანენ და გებრძვიან, განსაკუთრებით, ისინი, ვინც ოპოზიციურ ნიშაში სხედან. ძალიან ცუდია, რომ შედარებით ნეიტრალური ტელევიზიები, რომლებიც რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან პოლიტიკურად რაფინირებულები არ არიან, ისინი უბრალოდ, კონკურენციაში შევიდნენ პარტიულ ტელევიზიებთან და იგივე ტალღაზე დასხდნენ, რაც გულდასაწყვეტია. ტელეჟურნალისტს უნდა ჰქონდეს იმის გარჩევის უნარი, ის უბრალოდ ფეხის ხმას აჰყვა და ამით აფუჭებს საქმეს თუ არა.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ახალგაზრდები სამაგალითოდ დაისაჯონ მედიის მიერ აჟიოტაჟის ატეხვით, ან შეიძლება (იმდენი რამ გამოამჟღავნეს) დამნაშავე დაუსჯელი დარჩეს. ამიტომ ასეთი აქტიურობა და აჟიოტაჟი ყველა ვარიანტში გამოძიების ხარისხს ვნებს.

***– მედიის აქტიურობა, გარკვეულწილად, საგამოძიებო ორგანოებს არ აფხიზლებს?***

– ვნებას აყენებს.

***– ჩვენ ხომ ვიცით, წლების განმავლობაში იყო შემთხვევები, როდესაც გამოძიება არასწორად ტარდებოდა.***

– კი ბატონო, ასე იყო.

***– კარგად ვერ იძიებდნენ, დანაშაულობები იფარებოდა. ამან ხომ არ განაპირობა ახლა მედიის აქტიურობა?***

– არა. ეს იყო კონკრეტული ინტერესი, რომ ამ თემით აეწიათ საზოგადოების დუღილის ტემპერატურა. ამას გარკვეულმა მედიასაშუალებებმა ნამდვილად მიაღწიეს. კი, უამრავი მინუსი იყო, რომელზეც ყოველთვის ვსაუბრობთ, ვომობთ, მაგრამ ეს ხდება გარკვეულ ეტაპზე და არა თავიდანვე. გამოძიების საწყის ეტაპზე არ შეიძლება, როცა გამოძიებას ჯერ დასკვნები არ მოუპოვებია.

ჯერ დასკვნები არ არის, ასეთ მცირე დროში ვერც იქნება და უცებ ამბობ, გამოძიება უუნაროა და ზეწოლა მიდის. ეს უკვე არადამაჯერებელია. რომ თქვას, კონკრეტული საქმის მასალებით ეს შედეგი მივიღეო, მაშინ შეიძლება ვედავოთ, მაგრამ აქ საქმის მასალებით კი არ დავობენ, არამედ უბრალოდ, გამოძიების გასაშავებლად, საზოგადოებაში დუღილის ტემპერატურის ასაწევად, ემოციური ფონის დასაძაბად და თავისი პოლიტიკური ინტერესებისთვის გამოსაყენებლად.

სამწუხაროდ, გამოსდით. ოფიციოზის ადგილზე მე ცოტა სხვანაირად მოვიქცეოდი.

***– სხვანაირად, როგორ მოიქცეოდით?***

– მაგალითად, ექსპერტიზის დასკვნებს უფრო ადრე გამოვაქვეყნებდი. ზოგ საკითხებზე ღიად ვისაუბრებდი, რაზეც შეიძლება ლაპარაკი. ზოგ საკითხებზე გავაფრთხილებდი, რომ ხმამაღლა საუბარი არ შეიძლება. პასუხის რეჟიმში კი არ ჩავდგებოდი, დავასწრებდი. უფრო აქტიურ პოზიციას დავიკავებდი და არა უკანმიდევნებულს, რომ მერე ერთ-ერთმა ტელეწამყვანმა არ თქვას, მე რომ არ მეთქვა, ამას ვერ ნახავდნენო. თეთრპერანგიანი ხელოსანი ბიჭი თუ არ ეცოდინებოდათ, ამით არაფერი გაფუჭდებოდა. ამ ხმაურმა საქმეს რა მისცა.

***– არაერთ საქმეზე გიმუშავიათ, როგორც სასამართლო ექსპერტს. ერთი ექსპერტიზის დასკვნა გამოქვეყნდა. რა აზრი შეგექმნათ?***

– შეფასებისაგან შეგნებულად თავს ვიკავებ, რადგან არის ზოგადი ისტერია, ლამის ფსიქოზია. ამიტომ არ მინდა, კიდევ მეც გარედან მყვირალი ადამიანი გავხდე.

***– ანუ საყვირებელი არის?***

– როდესაც ექსპერტიზაში ვარ ჩართული, მაშინ ვჯდები და თავიდან ბოლომდე ვსწავლობ უამრავ დასკვნას, მაგრამ ამ საქმეში არ ვარ ჩართული, სხვა ექსპერტიზაზე ვმუშაობ.

# გიორგი რურუა: „მე დამნაშავე არ ვარ“



— მე დამნაშავე არ ვარ, ყველა ფაქტი გაყალბებულია და კანონის უხეში დარღვევებით არის მოპოვებული.

ამის შესახებ „მთავარი არხის“ ერთ-ერთმა მეწილემ, გიორგი რურუამ 16 ივლისს სასამართლო პროცესზე განაცხადა.

მან ბრალდების მხარის მიერ დასკვნითი სიტყვის წარმოთქმამდე განცხადება გააკეთა და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მას ცეცხლსასროლი იარაღი ჩაუდეს.

— ბატონო მოსამართლე, თქვენ შეგიძლიათ, ჩემ სიტყვას არ დაუჯეროთ და მხოლოდ ფაქტებს დაეყრდნოთ. ჩემი გუშინდელი ჩვენებიდან ნათლად გამოჩნდა, რომ ადგილზე არანაირი ჩხრეკა არ ჩამტარებია და არანაირი ცეცხლსასროლი იარაღი ჩემგან არ ამოუღიათ, — განაცხადა რურუამ.

საქმის პროკურორის, ვასილ სამხარაძის, განცხადებით, ბრალდების მხარეს მოლოდინი აქვს, რომ სასამართლო გიორგი რურუას მიმართ გამამტყუნებელ განაჩენს გამოიტანს.

როგორც სამხარაძე განმარტავს, საქმეში საკმარისი მტკიცებულებები მოიპოვება.

— ბრალდების მხარემ დაადასტურა ის გარემოება, რომ გიორგი რურუა ატარებდა და ინახავდა ცეცხლსასროლ იარაღს, ასევე მან სასამართლო გადაწყვეტილება არ შეასრულა 29 ნოემბერს, როცა დავალებული იყო, ნერწყვისა და ხელის ნიმუში აეღო.

ასევე, ბრალდების მხარემ დასკვნითი სიტყვის მიმდინარეობისას ცნობის სახით წარმოადგინა ერთ-ერთი გამომძიებლის ტელეფონის ამონაწერის ოქმი. დაცვის მხარემ დაკითხვის ეტაპზე სადავოდ გახადა, რომ გამომძიებელი იმყოფებოდა ჭავჭავაძის გამზირზე და სატელეფონო ანძების ამონაწერს ითხოვდა. სწორედ ეს ამონაწერი წარმოადგინა დღეს ბრალდების მხარემ და დაადასტურა, რომ გამომძიებელი ნამდვილად იმყოფებოდა ჭავჭავაძის გამზირზე.

ეს უბრალოდ ამონაწერია, დასკვნითი სიტყვის დროს მტკიცებულებების წარდგენა არ ხდება, ცნობის სახით მოხდა წარმოდგენა. ამონაწერს შესაბამისი ბეჭედი აქვს.

ჩვენ ვითხოვთ, რომ გიორგი რურუა ცნობილი იქნას დამნაშავედ ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებაში და ასევე, მოსამართლის გადაწყვეტილების ხელისშეშლასა და შეუსრულებლობაში. მოლოდინი გვაქვს, რომ ნამდვილად გამამტყუნებელი განაჩენი დადგება, ვინაიდან საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი, — განაცხადა სამხარაძემ.

კომენტარი გააკეთა ადვოკატმა დიმიტრი საძაგლიშვილმაც.

— მთლად ასეთ უტიფრობას არ ველოდი პროკურორების მხრიდან, — განაცხადა მან.

ადვოკატის თქმით, პროკურორი საკუთარ დასკვნით სიტყვაში შაბლონური ფრაზებით შეეცადა ეთქვა, რომ რურუას მხრიდან დანაშაულის ჩადენას ჰქონდა ადგილი.

— ჩვენ მზად ვიყავით ტყუილების მოსასმენად, იმიტომ, რომ ბრალდებას სხვა არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ დასკვნით სიტყვაში მოეტყუა. თუკი, აქამდე პოლიციელები იტყუებოდნენ დაკითხვებზე, დღეს უკვე პროკურორის ჯერი დადგა, მას უნდა ეთქვა ტყუილი, ამას უკვე შეგუებული ვიყავით, მაგრამ მთლად ასეთ უტიფრობასაც არ მოველოდით.

მაგალითად, პროკურორი ამტკიცებს, რომ იარაღს მაისურთან მჭიდრო შეხება არ ჰქონდა, მაშინ როცა, მათი ვერსიით, რურუას იარაღი შარვალში ედო, ზემოდან მაისური ეცვა, მაისური ცეცხლსასროლ იარაღს ეხებოდა, რადგან მათი ვერსიით, იარაღის ტარი შარვალზე იყო გადმოსული, ის მანქანაში იჯდა და სავარძელზე მიყუდებული იყო 100-კილოიანი ადამიანი 15 წუთის განმავლობაში. თურმე, ეს მჭიდრო შეხება არ ყოფილა.

რაც შეეხება წარმოდგენილ ფარატინა ფურცელს, ჩვენ თავის დროზე გამომძიებელ გიგა დარსაველიძის ანძების ამოღება მოვითხოვეთ, პროკურატურა ჩვენს შუამდგომლობას არ დაეთანხმა. დღეს, ბრალდების მხარემ წარმოადგინა ფარატინა ფურცელი იმ ეტაპზე, როცა მტკიცებულებების გამოკვლევა აღარ ხდება. არც ხელმოწერილი არაა და დღევანდელი თარიღით შეცდენილი ექსელის ცხრილია ამობეჭდილი, რაც ნებისმიერ კომპიუტერზე შეიძლება, გააკეთო. ამიტომ ვამბობ, მთლად ასეთ უტიფრობას არ ველოდი პროკურორების მხრიდან, — განაცხადა დიმიტრი საძაგლიშვილმა.

# ნარკოდანაშაულისთვის თბილისში ქალი და მამაკაცი დააკავეს

## ამოღებულია ნახევარი მილიონი ლარის ნარკოტიკი



შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქალი და მამაკაცი, 1994 წელს დაბადებული ი.ხ. და 1996 წელს დაბადებული გ.დ. თბილისში დააკავეს. მათ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვაში ედებათ ბრალი.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულები ინტერნეტ-ნარკომაღაზიებს ფლობდნენ როგორც ერთ-ერთ ინტერნეტ ნარკოპლატფორმაზე, ასევე, სოციალურ აპლიკაცია „ტელეგრამში“. აღნიშნული ონლაინ მაღაზიები სხვადასხვა სახის ე.წ. კლუბური ნარკოტიკის რეალიზაციას ახორციელებდა. სამართალდამცველებმა, დაკავებულების პირადი ჩხრეკისას, ლოკაციაზე სარეალიზაციოდ განსათავსებლად გამზადებული 180 აბი ნარკოტიკული საშუალება „ექსტაზი“ ამოიღეს.

პოლიციამ, ბრალდებულების საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, 4.200 აბი ნარკოტიკული საშუალება ,,ექსტაზი“ და დიდი ოდენობით სხვა ნარკოტიკული საშუალებები: „მდმა“, „ჰაშიში“, „კოკაინი“ და „მარიხუანა“ ამოიღო. ამოღებული ნარკოტიკების საბაზრო ღირებულება შავ ბაზარზე ნახევარ მილიონამდე ლარს შეადგენს.

ასევე, სამართალდამცველების მიერ ამოღებულია დიდი ოდენობით ნაღდი ფული: 7.200 აშშ დოლარი, 3.520 ევრო, 376.200 რუსული რუბლი, 585 თურქული ლირა და 200 ლარი.

წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

# ნაციონალური მოძრაობის წევრს ოთარ სირაძეს და მის ძმას ბრალი წარუდგინეს



საქართველოს პროკურატურამ ნაცმოძრაობის წევრს ოთარ სირაძეს და მის ძმას ამბროლაურში მომხდარი ჯგუფური ძალადობის ფაქტზე ბრალდება წარუდგინა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლის 4 ივლისს, ამბროლაურში, ო.ს.-მ და დ.ს.-მ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ნ.ღ.-ს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, რის შედეგადაც დაზარალებულმა სხეულის დაზიანებები მიიღო.

2020 წლის 16 ივლისს პროკურატურამ ო.ს.-ს და დ.ს.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 11 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ძალადობა, ჩადენილი ჯგუფურად) წარუდგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ბრალდების მხარე კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს სასამართლოს ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება“ — ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.

# სასამართლომ ნელი დოროყაშვილს სარჩელის დაზუსტება მოსთხოვა





ჩოგბურთელ ნიკოლოზ ბასილაშვილის ყოფილ მეუღლეს, ნელი დოროყაშვილს სასამართლომ სარჩელის დაზუსტება და სამართლებრივი დასაბუთების წარდგენა მოსთხოვა. ამის შესახებ ნიკოლოზ ბასილაშვილის ადვოკატმა ირმა ჭკადუამ 16 ივლისს ჟურნალისტებს სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა.

ადვოკატს საქმის დეტალებზე არ უსაუბრია და არც ის განუმარტავს, კონკრეტულად რისი დაზუსტება ითხოვა მოსამართლემ. როგორც ირმა ჭკადუა ამბობს, „ეს არის ძალიან სენსიტიური საკითხი“.

— სასამართლომ მოსარჩელე მხარეს დაავალა, დააზუსტოს სარჩელი, ჩამოაყალიბოს სამართლებრივი დასაბუთება და წარმოადგინოს. როდესაც მივიღებთ დაზუსტებულ სარჩელს, ჩვენც ვუპასუხებთ შესაგებლით და გაგრძელდება ან არ გაგრძელდება პროცესი. დეტალებზე ვერ გიპასუხებთ, თუ რისი დაზუსტება ითხოვა მოსამართლემ. გამომდინარე იქიდან, რომ ეს არის ძალიან სენსიტიური საკითხი, ეხება ოჯახს, პერსონალურ ინფორმაციას, ფინანსურ მდგომარეობას და ყველაზე მთავარია, ბავშვის საუკეთესო ინტერესი, მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ წარმოდგენილი სარჩელი იყო დასაზუსტებელი. ასევე, სამართლებრივად გასამართი. სასამართლოს შემდეგი სხდომის თარიღი არ დადგენილა, — განაცხადა ირმა ჭკადუამ.

16 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოში ჩოგბურთელ ნიკოლოზ ბასილაშვილის ყოფილი მეუღლის, ნელი დოროყაშვილის სარჩელის საფუძველზე დაწყებული დავა განიხილებოდა.

სხდომას არ ესწრებოდნენ ნიკოლოზ ბასილაშვილი და ნელი დოროყაშვილი.

# მარიამ ხატისკაცი: „გიორგი შაქარაშვილის გაუჩინარება ლიზი ნადირაძისგან გავიგე“



16 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტროში ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალების საქმის ერთ-ერთი მოწმის მარიამ ხატისკაცის გამოკითხვა გაიმართა.

როგორც ხატისკაცმა ჟურნალისტებს განუცხადა, შსს-ს მასთან კითხვები სოციალურ ქსელთან დაკავშირებით ჰქონდა.

— სოციალურ ქსელთან დაკავშირებით დაადგინეს რაღაც დეტალები და სოციალური ქსელები შეამოწმეს, მიმოწერასთან დაკავშირებით იყო კითხვები, — განაცხადა მარიამ ხატისკაცმა.

დაბადების დღის წვეულებაზე გიორგი შაქარაშვილი მას არ დაუპატიჟია და არ იცის ვინ დაპატიჟა.

ამასთან, ხატისკაცის თქმით, შაქარაშვილის გაუჩინარების შესახებ ამავე საქმის ერთ-ერთი მოწმის ლიზი ნადირაძისგან გაიგო.

— თემქაზე ვიყავი, კი. ლიზი ნადირაძისგან გავიგე. ლიზიმ გაიგო ინფორმაცია ხალხისგან იმიტომ, რომ ვინებიც იყვნენ, დაგვირეკეს, იქ ველარ მივდივართო და აქედან გამომდინარე, — განაცხადა ხატისკაცმა.

რაც შეეხება კითხვას, რა უთხრა ფოტოგრაფმა იაკობ ბრეგვაძემ ხიდზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, ხატისკაცმა განაცხადა, რომ ბრეგვაძეს მისთვის „ისეთი არაფერი უთქვამს“.

16 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტროში ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის საქმის მოწმეების გამოკითხვა რამდენიმე საათის განმავლობაში მიმდინარეობდა.

# პატიმარი, რომელიც სასამართლოდან გაიპარა, პოლიციას გამოკითხვიდანაც გაექცა

ქურდობაში ბრალდებული პირი, რომელიც სამართალდამცავებს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიიდან გაექცათ, ამ დრომდე არ დაუკავებიათ.

როგორც „ინტერპრესნიუსისთვის“ გახდა ცნობილი, ბრალდებული მამაკაცი სამართალდამცავებს ორჯერ გაექცათ. ერთხელ, როცა ის ავჭალის პოლიციაში გამოკითხვაზე დაიბარეს და მეორედ, მას შემდეგ, რაც მას მოსამართლემ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

მომხდართან დაკავშირებით, გამოძიება ორი მიმართულებით დაიწყო. პირველი — სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, რაც სამსახურებრივი გულგრილობის ჩადენის ფაქტს გულისხმობს და მეორე — სისხლის სამართლის კოდექსის 379-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, რაც ბრალდებულის/მსჯავრდებულის გაქცევას გულისხმობს და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 3-დან 6 წლამდე.

# მამაკაცმა ავარიაში მოყოლილი შვილის ამბავი გაიგო და თავის მოკვლა სცადა

16 ივლისს, საღამოს 5 საათზე, სროლა იყო აღმაშენებლის 106 ნომერში. დაჭრილია 60 წლის მამაკაცი.

არსებული ინფორმაციით, მამაკაცმა თვითმკვლელობა სცადა. დაჭრილი თბილისის ერთ-ერთ კლინიკაშია გადაყვანილი.

„ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, მამაკაცმა თვითმკვლელობა მას შემდეგ სცადა, რაც მისი შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ შეიტყო.

სააგენტოს წყაროს ინფორმაციით, დაჭრილი მამაკაცის შვილი რამდენიმე დღის წინ ავტოავარიაში მოყვა, მისი მდგომარეობა მძიმეა.

როგორც „კურიერს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება 115-ე და 236-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანასა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

# საქართველოს სანაპირო დაცვა 22 წლისაა



16 ივლისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დღე აღინიშნა. სასაზღვრო პოლიციის უფროსმა თემურ კეკელიძემ სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორთან, I რანგის კაპიტან რამაზ პაპიძესთან ერთად პირად შემადგენლობას პროფესიული დღე ფოთში, სანაპირო დაცვის ბაზაზე მიულოცა.

თემურ კეკელიძემ სანაპირო დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებს სამშობლოსთვის გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა და სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისთვის სამკერდე ნიშნები „უმწიკვლო სამსახურისთვის“ და მადლობის სიგელები გადასცა.

სასაზღვრო პოლიციის უფროსმა, სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორთან ერთად, 2008 წლის აგვისტოს ომში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული გმირების მემორიალი გვირგვინით შეამკო.

# აშშ–მ პრიგოჟინის კომპანიონებს სანქციები დაუწესა



აშშ-ის ფინანსთა სამინისტრომ იმ პირთა სია გააფართოვა, ვინც რუსი ბიზნესმენის პრიგოჟინის ბიზნესკომპანიონები არიან. ახლა ამერიკული სანქციები მათზეც გავრცელდება.

სასანქციო სიაში შევიდნენ პეტერბურგული ფირმა „ინვესტი", აგრეთვე ერთი სუდანური, ერთ ჩინური და ერთი ჰონკონგური ფირმა.

# კიევში უკრაინის უშიშროების პოლკოვნიკი მოკლეს

კიევში, მარშალ მალინოვსკის ქუჩაზე მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს. მას თავში სასიკვდილო დარტყმა ჰქონდა მიყენებული. მამაკაცს ფეხსაცმელი ჰქონდა გახდილი, ჯიბეები კი ამობრუნებული.




შემოწმებისას დადგინდა, რომ მოკლული უკრაინის უშიშროების სამსახურის პოლკოვნიკი და განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი რომან ზაკლადნია.

უკანასკნელ ხანს ის დონბასის მოვლენების გამოძიებით იყო დაკავებული.

პოლიციამ დააკავა ორი მამაკაცი, რომლებიც ზაკლადნის მკვლელობაში არიან ეჭვმიტანილნი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# „რუსეთი დიდი ბრიტანეთის საპარლამენტო არჩევნებში ჩარევას ცდილობდა"

## დომინიკ რააბის განცხადება



დიდი ბრიტანეთის მთავრობამ თითქმის სრული სიზუსტით დაასკვნა, რომ რუსი აქტორები უკანონოდ მოპოვებული სამთავრობო დოკუმენტების გავრცელების გზით, 2019 წლის არჩევნებში ჩარევას ცდილობდნენ.

ამის შესახებ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, დომინიკ რააბმა განაცხადა.

მისივე თქმით, დიდი ბრიტანეთის დემოკრატიაში ჩარევის ნებისმიერი მცდელობა სრულიად მიუღებელია.

საუბარია დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ დოკუმენტებზე, რომლებიც ინტერნეტ-პლატფორმაზე 2019 წლის არჩევნების წინ გამოქვეყნდა და ლეიბორისტულმა პარტიამ წინასაარჩევნო კამპანიისთვის გამოიყენა.

რააბის განცხადებით, ეროვნული კიბერ უსაფრთხოების ცენტრის დახმარებით დაწყებულია გამოძიება და ლონდონი უფლებას იტოვებს, მსგავს შეტევებს მომავალშიც უპასუხოს.

# ილჰამ ალიევმა საგარეო საქმეთა მინისტრი მოხსნა



აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი თანამდებობიდან გაათავისუფლა.

ილჰამ ალიევმა მამედიაროვის გათავისუფლების შესახებ ბრძანებას 16 ივლისს მოაწერა ხელი.

პრეზიდენტმა საგარეო საქმეთა მინისტრად ჯეიხუნ ბაირამოვი დანიშნა, რომელსაც აზერბაიჯანის მთავრობაში 2018 წლიდან განათლების მინისტრის თანამდებობა ეკავა.

ცოტა ხნის წინ ქვეყნის პრეზიდენტმა საგარეო საქმეთა მინისტრი გააკრიტიკა. კერძოდ, ალიევის განცხადებით, მან 12 ივლისს საგარეო უწყების ხელმძღვანელის სამუშაო ადგილზე პოვნა ვერ მოახერხა.

ელმარ მამედიაროვი საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობას 2004 წლიდან იკავებდა.

# აზერბაიჯანს ბევრი დაღუპული და დაჭრილი ჰყავს

## სომხეთის თავდაცვის მინისტრის განცხადება



აზერბაიჯანულ მხარეს ბევრი დაღუპული და დაჭრილი ჰყავს.

ამის შესახებ ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა დავით ტონოიანმა ეუთოს მოქმედი თავმჯდომარის პირად წარმომადგენელთან ანჟეი კასპრჟიკთან საუბრისას განაცხადა.

„დავით ტონოიანმა წარადგინა ინფორმაცია სომხეთის სახელმწიფო საზღვარზე არსებული მდგომარეობის შესახებ და განაცხადა, რომ აზერბაიჯანულ მხარეს ბევრი დაღუპული და დაჭრილი ჰყავს" – წერს სომხეთის თავდაცვის მინისტრის პრესსპიკერი შუშან სტეპანიანი ფეისბუქში.

ამასთან, აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს მტკიცებით, 16 ივლისს, დილით სომხეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებმა სოფლების: აგდამის, დონდარ გუშჩუსა და ვაჰიდლის მიმართულებით მსხვილკალიბრიანი იარაღითა და საარტილერიო დანადგარებით ცეცხლი გახსნეს.

საზოგადოება

# არჩილ ლიბრაძემ მიხა ხელაშვილის მკვლელების ვინაობა გაასაჯაროვა

პოეტ მიხა ხელაშვილის მკვლელები არჩილ ლიბრაძემ ფართო საზოგადოებას სოციალურ ქსელში ფოტოდოკუმენტით წარუდგინა:

– მიხა ხელაშვილის მკვლელები! საბჭოთა პერიოდში მიხა ხელაშვილის ხსენებაც კი აკრძალული იყო. ამიტომ ჩვენ პოეტის არსებობა საკმაოდ გვიან გავიგეთ! ბევრი რამ გაირკვა, დალაგდა, მიხა დღეს ყველა ქართველისათვის საყვარელი პოეტია, მის ლექსებზე ხალხი მღერის.

ქალბატონი ლელა რაზიკაშვილის ძალისხმევით, ყოველი წლის 25 იანვარს, ჩარგალში ვზეიმობთ მიხაობას! მიხა ხელაშვილი 1925 წლის 25 იანვარს თავისმა მეგობრებმა გაწირეს. მკვლელობის ორგანიზება ბოლშევიკებმა კომკავშირელ ვახტანგ რაზიკაშვილს, ვაჟა-ფშაველას გერს ანდეს.

შემორჩენილია მიხას მკვლელების ძალზე შთამბეჭდავი ფოტო, რომელიც კარგად გამოხატავს ბოლშევიკურ ეპოქას, აღსანიშნავია ფოტოგრაფის ხელოვნებაც. ფოტოასლი მომაწოდა ბატონმა სანდრო შანიძემ, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის მიხას შემოქმედების ფუნდამენტური წიგნის „სიტყვა ლექსებად ნაქარგი" გამოცემაში.

ფოტო გადაღებულია 1925 წელს, მიხას მკვლელობიდან რამდენიმე თვის შემდეგ. წინა პლანზე გამოსახულია სამი მომღიმარი ახალგაზრდა, უშუალოდ მკვლელობის შემსრულებლები: მკვლელობის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი ვახტანგ რაზიკაშვილი, თანამონაწილენი: ლევან გარსევანიშვილი და ლუკა მარცვალაშვილი. მეორე პლანზე – ახალგაზრდა კომკავშირლები, რომლებიც მიხას მკვლელობისას ჩარგალში იმყოფებოდნენ. უკანა პლანზე დროებითი საპყრობილეა, გისოსებს მიღმა პატიმრებს ახლობლების წერილი უჭირავთ. ფოტოს უკანა მხარეს – მიხა ხელაშვილის ქალიშვილის, თამარის კომენტარებია. ვახტანგი თამარის ნათლია იყო, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, მიხას ქვრივთან დედუნასთან შვილი – ალექსი შესძენოდა, რომელიც ბერიანიძის გვარს ატარებდა და მოგვიანებით დაეწერა რაზიკაშვილად.



სალომემ – მიხას დამ, ხევსური მილიციელის ტუჩა ქეთელაურის დახმარებით მოიპარა ძმის სხეულის ნაშთები და ჩარგალში, დედის საფლავის გვერდით დამარხა. მიხას მკვლელობიდან მალევე ლევან გარსევანიშვილი მოურჩენელი სენით წამებაში გარდაიცვალა. ჩარგალში ყვებოდნენ, მოწამლესო! ლუკა მარცვალაშვილი ბოროტი კაცი ყოფილა, მიხას მკვლელობამდე საკუთარი მამა ჰყავდა მოკლული და ნაკელში ჩაფლული... მიხას მკვლელობიდან 24 წლის შემდეგ იგი შირაქში მოკლა გოგია ჭიჭოშვილმა.

ვახტანგ რაზიკაშვილის „გმირობები" ამით არ ამოწურულა, მანვე მოკლა თანასოფლელი გიორგი პირქუშაშვილი. გიორგის შთამომავლები გვიამბობენ: „პაპაჩვენი გიორგი პირქუშაშვილი საკმაოდ განათლებული და ჭკვიანი პიროვნება გახლდათ, შესანიშნავად თამაშობდა ჭადრაკს, იყო მათემატიკის მასწავლებელი, მიხას საუკეთესო მეგობარი იყო, ამიტომაც შურისძიების ეშინოდა და 1926 წლის 6 მაისს, გიორგობის დღესასწაულზე, ტყეში ჩაუსაფრდა, თოფით ცხენიდან ძირს დასცა და შემდეგ ხანჯლით აკუწა. ხალხში ტრაბახობდა კიდეც – უკანასკნელი ძაღლიც მოვაცილე ჩარგალსო." ვახტანგი შემდგომ ვაჟა-ფშაველას მუზეუმის დირექტორიც გახლდათ. მან პირადი ინიციატივით მუზეუმი დაანგრევინა და თავიდან ააშენა, რითაც ისტორიული მნიშვნელობა დაუკარგა მას. ვახტანგის დირექტორობისას დაიკარგა უამრავი ექსპონატი, შეგნებულად გაანადგურა მისთვის არასასურველი მიმოწერაც! ამ „გმირობების" ჩამდენის საფლავი დღემდე ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის ეზოშია, რაც ორმაგად დაუშვებელია. ერთი მხრივ, მუზეუმი სასაფლაო არაა, მეორე მხრივ, მიხა ხელაშვილის და გიორგი პირქუშაშვილის მკვლელის საფლავს ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის ეზოში რა უნდა?!

ასევე ფიქრობდა გულქან რაზიკაშვილი. ეთერ თათარაიძის შესანიშნავ ნაშრომში „მამამა ღმერთს ჩამაჰყარა სახელი" ვკითხულობთ: „არ მამწონ, რო ვახტანგის სამარე ამ ეზოშია. რა ვიცი რატო იბრძოდა, მე და შენ მანდ უნდა დავიმარხოთო, – მითხრის. ე ტყე მაინც გადმეეჭრა და მანდ სადმე დეემარხა. მე არ მინდს ამ ეზოში დასამარება..." კარგი იქნება, შეცდომა თუ დროულად გამოსწორდება!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## განცხადებები

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ კარგი შედეგით სქესობრივ სისუსტესა და უძლურებას. მკურნალობაში ვიყენებ თანამედროვე საშუალებებს, ასევე სათანადო აპარატურასა და „ერექტორებს", რომლის საშუალებითაც უძლურ მამაკაცსაც შეუძლია ჩაატაროს სრულიად ნორმალური სქესობრივი კავშირი, რომელიც არ შეიგრძნობა, არ არის მავნე, უტყუარია გამოყენებისას და შეტანილია სექსოლოგიის, ასევე უროლოგიის სახელმძღვანელოებში. ტელ: 299-95-33; 593-60-60-44 იკითხეთ ექიმი მერაბი.

# ვერიკო ტურაშვილმა ახალი სიმღერა ჩაწერა

მომღერალმა ვერიკო ტურაშვილმა ახალი სიმღერა ჩაწერა და სულ მალე ვიდეოკლიპსაც გადაიღებს. სიმღერას იგი პატარა მომღერალ გოგონებთან ერთად ასრულებს:



– ჩავწერე ახალი სიმღერა, რომლის ავტორიც ჩემი მეგობარი და უნიჭიერესი მუსიკოსი ნატო ღოღობერიძეა. ამ სიმღერის რადიო პრემიერა შედგა უკვე რადიო დარდიმანდში და აჭარის რადიოში. უახლოეს პერიოდში ვიდეოს გადაღებასაც ვგეგმავთ და ზოგადად უდიდესი გეგმები გვაქვს სტუდიაში როგორც ზაფხულში, ასევე სექტემბრიდან.

მალე ახალი ფილიალებიც დაგვემატება თბილისის სხვადასხვა უბნებში. რა თქმა უნდა, ყველა გეგმა და მიზანი ჩემს უკარგეს და უძვირფასეს პარტნიორთან ეკა მგალობლიშვილთან ერთად იქნება განხორციელებული.

სპორტი

# ხუთი ცვლილება გაისადაც იქნება

საერთაშორისო ფეხბურთის ასოციაციის საბჭომ ოფიციალურად დაადასტურა, რომ კლუბებს 5 ცვლილების წესის გამოყენების უფლება 2020-21 წლების სეზონის ბოლომდე ექნებათ.

თუმცა, არის ერთი ფაქტორი – ეს წესი სავალდებულო არ იქნება და მის გამოყენებას სხვადასხვა ჩემპიონატების ორგანიზატორები ერთპიროვნულად გადაწყვეტენ.

შეგახსენებთ, რომ 5 ცვლილების წესი კორონავირუსის პანდემიის შემდეგ შემოიღეს და მისი მიზანი ტრავმების თავიდან არიდებაა. გამომდინარე იქიდან, რომ მომდევნო სეზონი ძალიან გადატვირთული იქნება და ფეხბურთელებს ზაფხულში ასპარეზობა სხვადასხვა სანაკრებო ტურნირებზე მოუწევთ, 5 ცვლილების წესი 2020-21 წლების სეზონშიც იმოქმედებს.

აღსანიშნავია, რომ ამ წესს ევროპაში ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, რომლებიც თვლიან, რომ 5 ცვლილება წყალს გრანდების წისქვილზე ასხამს, რადგან მათ გრძელი სათადარიგოთა სკამი ჰყავთ. მაგალითად, ბრიტანეთში საერთაშორისო ფეხბურთის ასოციაციის საბჭოს გადაწყვეტილება უკვე გააკრიტიკეს და ჯეიმი კარაგერმა და გარი ნევილმა პრემიერლიგის ორგანიზატორებს მოუწოდეს, 3 ცვლილებას დაუბრუნდნენ.

## შედეგები

### 15 ივლისი

### ფეხბურთი

#### ინგლისი. პრემიერლიგა

ბარნლი-ვულვზი ........ 1:1
სიტი-ბორნმუთი ........ 2:1
ნიუკასლი-ტოტენჰემი ........ 1:3
არსენალი-ლივერპული ........ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 36 | 30 | 3 | 3 | 77-29 | 93 |
| 2.სიტი | 36 | 24 | 3 | 9 | 93-35 | 75 |
| 3.ჩელსი | 36 | 19 | 6 | 11 | 64-49 | 63 |
| 4.ლესტერი | 35 | 17 | 8 | 10 | 65-36 | 59 |
| 5.მანჩესტერი | 35 | 16 | 11 | 8 | 61-33 | 59 |
| 6.ვულვზი | 36 | 14 | 14 | 8 | 49-38 | 56 |
| 7.ტოტენჰემი | 36 | 15 | 10 | 11 | 57-46 | 55 |
| 8.შეფილდი | 35 | 14 | 12 | 9 | 38-33 | 54 |
| 9.არსენალი | 36 | 13 | 14 | 9 | 53-45 | 53 |
| 10.ბარნლი | 36 | 14 | 9 | 13 | 40-48 | 51 |
| 11.ევერტონი | 35 | 12 | 9 | 14 | 41-52 | 45 |
| 12.საუთჰემპტონი | 35 | 13 | 6 | 16 | 45-58 | 45 |
| 13.ნიუკასლი | 36 | 11 | 10 | 15 | 37-55 | 43 |
| 14.კრ.პალასი | 35 | 11 | 9 | 15 | 32-43 | 42 |
| 15.ბრაიტონი | 35 | 8 | 12 | 15 | 36-52 | 36 |
| 16.ვესტ ჰემი | 35 | 9 | 7 | 19 | 44-59 | 34 |
| 17.უოტფორდი | 35 | 8 | 10 | 17 | 33-54 | 34 |
| 18.ბორნმუთი | 36 | 8 | 7 | 21 | 37-62 | 31 |
| 19.ასტონ ვილა | 35 | 8 | 6 | 21 | 38-65 | 30 |
| 20.ნორვიჩი | 36 | 5 | 6 | 25 | 26-68 | 21 |

#### ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბრენტფორდი-პრესტონი ........ 1:0
ბრისტოლი-სტოკი ........ 1:1
ბირმინგემი-ჩარლტონი ........ 1:1
ნორინგემი-სუონსი ........ 2:2

#### იტალია. სერია ა

ბოლონია-ნაპოლი ........ 1:1
მილანი-პარმა ........ 3:1
სამპდორია-კალიარი ........ 3:0
ლეჩე-ფიორენტინა ........ 1:3
რომა-ვერონა ........ 2:1
სასუოლო-იუვენტუსი ........ 3:3
უდინეზე-ლაციო ........ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 33 | 24 | 5 | 4 | 70-35 | 77 |
| 2.ატალანტა | 33 | 21 | 7 | 5 | 93-43 | 70 |
| 3.ლაციო | 33 | 21 | 6 | 6 | 68-35 | 69 |
| 4.ინტერი | 32 | 20 | 8 | 4 | 68-34 | 68 |
| 5.რომა | 33 | 17 | 6 | 10 | 61-44 | 57 |
| 6.ნაპოლი | 33 | 15 | 8 | 10 | 53-44 | 53 |
| 7.მილანი | 33 | 15 | 8 | 10 | 48-42 | 53 |
| 8.სასუოლო | 33 | 13 | 8 | 12 | 62-57 | 47 |
| 9.ვერონა | 33 | 11 | 11 | 11 | 41-41 | 44 |
| 10.ბოლონია | 33 | 11 | 10 | 12 | 47-52 | 43 |
| 11.კალიარი | 33 | 10 | 11 | 12 | 48-49 | 41 |
| 12.პარმა | 33 | 11 | 7 | 15 | 45-47 | 40 |
| 13.ფიორენტინა | 33 | 9 | 12 | 12 | 41-45 | 39 |
| 14.სამპდორია | 33 | 11 | 5 | 17 | 42-54 | 38 |
| 15.უდინეზე | 33 | 9 | 9 | 15 | 31-46 | 36 |
| 16.ტორინო | 32 | 10 | 4 | 18 | 38-60 | 34 |
| 17.ჯენოა | 32 | 7 | 9 | 16 | 40-60 | 30 |
| 18.ლეჩე | 33 | 7 | 8 | 18 | 41-74 | 29 |
| 19.ბრეშა | 33 | 5 | 6 | 22 | 30-70 | 21 |
| 20.სპალი | 32 | 5 | 4 | 23 | 23-58 | 19 |

#### პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

მორეირენშე-ფერეირა ........ 1:1
ბრაგა-ბელენენსეში ........ 1:1
პორტუ-სპორტინგი ........ 2:0

#### რუსეთი. პრემიერლიგა

ურალი-არსენალი ........ 1:3
კრილია-კრასნოდარი ........ 0:0
სპარტაკი-ახმატი ........ 3:0
ზენიტი-ორენბურგი ........ 4:1

#### შვეიცარია. სუპერლიგა

ლუგანო-თუნი ........ 1:1
იანგ ბოიზი-სერვეტი ........ 4:2

#### ავსტრია. ბუნდესლიგა

ჰარტბერგი-აუსტრია ........ 0:0

#### საბერძნეთი. სუპერლიგა

არისი-პანათინაიკოსი ........ 0:1
ოფი-ოლიმპიაკოსი ........ 1:3
აეკი-პაოკი ........ 0:0

#### პოლონეთი. ექსტრაკლასა

კრაკოვია-ლეხი ........ 1:2
ლეხია-ლეგია ........ 0:0
პოგონი-პიასტი ........ 1:0
იაგელონია-სლასკი ........ 2:1

#### უკრაინა. პრემიერლიგა

შახტარი-კოლოსი ........ 2:0

#### შვედეთი. ალსვენსკა

აიკი-სირიუსი ........ 1:0
გიოტებორგი-ჰელსინბორგი ........ 1:1

**გიოტებორგის გოლი გიორგი ხარაიშვილმა გაიტანა**

დიურგარდენი-ფალკენბერგი ........ 1:0

#### ნორვეგია. ელიტსერია

ბოდო გლიმდტი-კრისტიანსუნდი ........ 2:1
ვალერენგა-ჰაუგესუნდი ........ 1:0
მიოლდე-ვიკინგი ........ 5:0
სანდერფიორდი-ალესუნდი ........ 1:0
სტრომგოდსეტი-მიონდალენი ........ 2:1
ოდ გრელანდი-ბრანი ........ 1:0

# სამგლოვიარო განცხადებები

## ელვარდი იზორიას გახსენება



**„... სიკვდილს ყველაფერს ვაპატიებდი, ყველაფერს, შენი წაყვანის გარდა!“**

... ზოგიერთი ადამიანი იმდენად სწორად, შეგნებულად, სინდის-ნამუსით ცხოვრობს: – ულალატო, უჩვეულოდ პატიოსანი, კეთილშობილი და ღვთისნიერი პიროვნებაა, რომ სიკვდილის შემდეგაც აგრძელებს „სიცოცხლეს“ თავისი ახლობლების, მეგობრების გულში, ხსოვნაში, გონებასა და ყოველდღიურობაში...

ეს ალალი და სუფთა გულით ნაკარნახევი სიტყვები, შენ მინდა გიძღვნა ჩემო ელვარდი, ჩემო ბავშვობის, ახალგაზრდობის, ხანდაზმულობის, აწმყოსა და წარსულის, ჩემი ცხოვრების, ტკივილისა და სიხარულის უშუალო მოწმევ, ჩემი ოჯახის დიდო გულშემატკივარო, ჭირისა და ლხინის მუდმივო გამზიარებელო...

შენი გარდაცვალებიდან 40 დღე სრულდება, 19 ივლისს შენი სულის ამაღლების დღეა სასუფეველში, წუთისოფელი უმადურია, მას მოკლე მეხსიერება აქვს, ყველა ნაკვალევს შლის, მაგრამ არსებობს ყოვლისშემძლე და ყოვლის შემოქმედი ღმერთი, რომელიც სწორ, გონიერ ცხოვრებას და მოქმედებას ყველას უფასებს, სიკეთეს არავის უკარგავს, ამიტომაც მჯერა, რომ შენი ალალ-მართალი სული მარადიულ და მართალთა სასუფეველში დაიდებს ბინას...

მე და შენ მშვენიერ აფხაზეთში, გალის რაიონის ერთ-ერთ ულამაზეს, ზღვისპირა სოფელ ოკვინორეში (განახლება) დავიბადეთ, ფეხი ავიდგით, დაწყებითი განათლება ერთად მივიღეთ და ყმაწვილკაცობა იქ გავატარეთ, ერთმანეთს ყოველთვის ვუგებდით. შენ გამორჩეული იყავი როგორც სკოლაში, ასევე მეზობლებში, ფრიადოსანი იყავი არა მარტო სწავლაში, არამედ ქცევაში, ზრდილობაში, თანადგომაში, ულალატობაში, ჭკვიანური გადაწყვეტილებების მიღებაში. განსაკუთრებული უნარ-ჩვევებით, სიღრმისეული, დინჯი აზროვნებით აღტაცებაში მოგვყავდა ფართო საზოგადოება, რომელშიც შენ ტრიალებდი, უზომოდ გიყვარდა მშობლიური მხარე, მშობლიური სოფელი, შენი ოდაბადე, მისი ბუნება, დიდ მოწიწებას იჩენდი ადგილობრივი წეს-ჩვეულებების, ტრადიციების, უფროსი თაობის მიმართ, ღრმა პატივისცემით, სიყვარულით ეპყრობოდი შენს მეზობლებს, თანაკლასელებს, თანასოფლელებს და ახლობლებს, საკუთარივით გიყვარდა და აფასებდი ჩემს ოჯახს.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ხანგრძლივი პერიოდი მუშაობდი მშობლიურ აფხაზეთში, იყავი საგზაო დარგის წარმატებული ინჟინერი, სანიმუშო და სამაგალითო იყავი თანამშრომლებისთვის, ყოველთვის და ყველგან ავლენდი კეთილშობილურ თვისებებს, რაც ბავშვობიდან მოგდგამდა და გახასიათებდა.

აფხაზეთის ტრაგედიამ რადიკალურად შეცვალა შენი ცხოვრება სულიერად, ფიზიკურად გადატვირთა შენი აწმყო, შენი რეალობა, გტკიოდა აფხაზეთი, გტკიოდა შენი სოფელი, გადამწვარი სახლები, უდანაშაულო ადამიანთა დაუმარხავი გვამები, ახლობელთა მიტოვებული, უპატრონოდ დარჩენილი საფლავები, შენი ემოციური სულის სიმები ძლიერ დაიჭიმა, ნოსტალგიამ გძლია, რასაც შენმა ფაქიზმა და მოსიყვარულე გულმა ვერ გაუძლო და საოპერაციო მაგიდამდე მიგიყვანა.

იბრძოდა შენი ოჯახი, ნათესავები და მეგობრები, რათა შენი სიცოცხლე სიკვდილისთვის ხელიდან გამოეტაცა, მაგრამ ეს ბოროტი არსება, ოჯახზე, მეგობრებსა და ექიმებზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა და ოპერაციის შემდეგ შენი კარგად ყოფნით გამოწვეული ხანმოკლე სიხარული და იმედი, მწუხარებითა და ცხარე ცრემლებით შეგვეცვალა!

მიუხედავად იმისა, ყოველდღე ვლოცულობდი შენი გამოჯანმრთელებისთვის, მაინც მრჩება გულში ერთგვარი ხინჯი, რომ კარანტინის გამო ვერ შევძელი შენი მონახულება, თუმცა სატელეფონო საუბარი მე და შენ სიკვდილის ბოლო წუთამდე გვქონდა...

ჩემო ელვარდ, ამ გახსენებაში ბევრს არაფერს ვწერ ჩვენს უჩვეულოდ ერთგულ, ულალატო, მტკიცე მეგობრობაზე, რომელმაც მძიმე წლებსაც გაუძლო. გეტყვი მხოლოდ ერთს: შენ ჩემთვის არა მარტო მეგობარი, არამედ ჩემი სულის ტყუპისცალი იყავი, მე შენ ყოველთვის მაძლიერებდი, ძლიერი სულიერი ძარღვი იყავი, რომელიც შენი უდროო სიკვდილით გაწყდა და მოუშუშებელი ტკივილი დატოვა ჩემში. ულრმესი მადლობა ჭეშმარიტი მეგობრობის გაწევისთვის, თანადგომისთვის, სიყვარულისა და ერთგულებისთვის!!!

ჩემო მეგობარო, მშვიდად განისვენე, რადგანაც გყავს, დაგრჩა ერთგული, მოსიყვარულე, გონიერი, ულალატო მეუღლე მედეა ჯონჯუა, რომელიც შენს ამაგს, კარგ მეუღლეობას, შენს გვერდით გატარებულ წლებს ასმაგად დაგიფასებს და სიცოცხლის ბოლო წუთებამდე შენს სუფთა ავტორიტეტს გაუფრთხილდება, შენ ეს ჭეშმარიტად დაიმსახურე!!!

შენი უბრწყინვალესი შვილები, შენი სისხლისა და ხორცის გაგრძელება, ლევანი და თამრიკო, ვიმედოვნებ, ოჯახის შექმნას არ დააყოვნებენ და შენი ცხოვრების დიდ ოცნებასა და უპირველეს ნატვრას, ყოფილიყავი მრავალი შვილიშვილის ბაბუა, ფრთებს შეასხამენ, სურვილს აგისრულებენ და ამით იქ, ზეციურ სასუფეველში მრავალჯერ გაგახარებენ.

ჩემო ელვარდ, სულ რაღაც ოციოდე დღის წინ, შენი ყველაზე უფრო ახლო ადამიანი, უფროსი დაიკო ჯულიეტა, შენს გვერდით დამკვიდრდა, ეჰ! რა უგულო და ულმობელია წუთისოფელი!!!

არ ვიცი რა ვთქვა, როგორ და რით ვანუგეშო 88 წლის შენი საყვარელი დედა, ქალბატონი გოგოლა, რომელიც ამ ენით აუწერელ მწუხარებებს შეესწრო.

ძლიერ მტკივნეულია ისიც, რომ გასაგები მიზეზების გამო, ბევრმა შენმა თანასოფლელმა, თანამემამულემ, ახლობელმა ვერ დაგიტირა, ვერ მოგეფერა, უკანასკნელ გზაზე ვერ გაგაცილა, შენი წუთისოფლიდან გასვლა შორიდან გაიზიარა და გაითავისა!

ჩემო მეგობარო, კიდევ ბევრი რამ დამრჩა შენზე და შენთვის სათქმელი, მოსაფერებელი, გასაზიარებელი, მაგრამ რამდენიც არ უნდა ვწერო და ვილაპარაკო, ბოლომდე მაინც ვერ ამოვწურავ ჩემს ემოციებს, განცდებს, ტკივილს, რაც მე და შენმა მეგობრებმა, ახლობლებმა და კეთილისმსურველებმა შენი დაღუპვით განვიცადეთ!

გვიყვარდი, გვიყვარხარ და გვეყვარები მუდამ და მარადჟამს, შენ ჩვენგან წახვედი, მაგრამ შენ ისევ ჩვენს გვერდით იქნები.

დარწმუნებული ვარ, ელვარდის, როგორც ღირსეული პიროვნების, სანიმუშო მეგობრის და ჭეშმარიტი პატრიოტის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი მეგობრებისა და ახლობლების გულში.

*ღვთისნიერი სიყვარულით,*
*სოსო ფაცაცია*

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# ბასილაშვილი ვაშინგტონში ითამაშებს



ნიკოლოზ ბასილაშვილი პანდემიის შემდეგ პირველი შეჯიბრისთვის ემზადება. ეს ვაშინგტონში მოხდება, სადაც სტარტს 500-იანი ტურნირი აიღებს. საკმაოდ პრესტიჟული შეჯიბრია და საპრიზო ფონდი 1.953.285 დოლარს შეადგენს. უკვე წარდგენილი განაცხადით ამერიკულ ჰარდის კორტებზე ითამაშებენ დანილ მედვედევი, სტეფანოს ციციპასი, დავიდ გოფინი, კარენ ხაჩანოვი, ჯო ისნერი, კევინ ანდერსონი, მილოშ რაონიჩი, მარინ ჩილიჩი, ფელიქს ოჟიე-ალიასიმი...

ტურნირი 14 აგვისტოს დაიწყება და 21 აგვისტომდე გასტანს. მასში მონაწილეობას 48 ჩოგბურთელი მიიღებს და 38 ძირითად ბადეში იქნება, მათ შორის – ბასილაშვილიც.

შეგახსენებთ, მარტის შემდეგ შეწყვეტილი ტურნირების გამო, ასევე მარტამდე ჩოგბურთელებს ქულები დასაცავი არ ექნებათ, მაგრამ მოგროვება კი შეეძლებათ. შარშან ნიკას ამ ტურნირზე არ უთამაშია, ხოლო ჩემპიონი ნიკ კირგიოსი გახდა, რომელმაც ფინალში მედვედევს 7:6, 7:6 მოუგო.

# გიჟური ატალანტა



ბერგამოს ატალანტას დაუჯერებელი სეზონი აქვს – ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალშია, პარალელურად სერია ა-ში არავის ინდობს და არასაფეხბურთო ანგარიშებით იგებს. ბოლოს ლომბარდიელებმა ბრეშა გაანადგურეს – 6:2.

საერთოდ, ატალანტა ძალიან მაგარ ფორმაშია და „გიჟურ“ ფეხბურთს თამაშობს. ჯან პიერო გასპერინის გუნდს კარანტინის შემდეგ წაგება არ აქვს – 8 შეხვედრიდან 7 მოიგო და მხოლოდ ტურინის იუვენტუსთან (2:2) ითამაშა ფრედ. აღსანიშნავია, რომ ტურინელებისგან ორივე გოლი პენალტით გაუშვა.

მიმდინარე ჩემპიონატში ატალანტას უკვე 93 გოლი აქვს გატანილი. 21-ე საუკუნეში სერია ა-ს რეკორდული მაჩვენებელი 94 გოლია. ეს 2016-17 წლების სეზონში ნაპოლიმ მოახერხა. თუმცა, ბერგამოელებს წინ კიდევ 5 მატჩი აქვთ. დიდი ალბათობით, გასპერინის გუნდი 100-ბურთიან ნიშნულსაც გადალახავს. ასეთი რამ კი სულ ორჯერ მომხდარა – ტორინომ 1948-49 წლების სეზონში 125 გოლი შეაგდო, ხოლო ერთი წლის შემდეგ 118 გოლი მილანმა გაიტანა.

ტოპ-5 ჩემპიონატებიდან წლევანდელ სეზონში ატალანტაზე მეტი მხოლოდ მიუნხენის ბაიერნს აქვს გატანილი (100). გასპერინის გუნდი ერთადერთია, რომელმაც ამ სეზონის 4 მატჩში მოახერხა 6 და მეტი გოლის გატანა.

ჰო, ატალანტას ფეხბურთელ რობინ გოსენსზეც ვთქვათ: ტოპ-5 ჩემპიონატში გერმანელი ყველაზე შედეგიანი მცველია და ეს ფაქტი ბრეშასთან მატჩის შემდეგ დაფიქსირდა, რომელშიც 2 საგოლე პასი მიითვალა. ახლა გოსენსის ანგარიშზე 9 გოლი და 8 საგოლე პასია. გოსენსმა უკან მოიტოვა ტრენტ ალექსანდერ-არნოლდი, რომლის ანგარიშზე 15 შედეგიანი მოქმედებაა...

**ჯან პიერო გასპერინი, ატალანტას მთავარი მწვრთნელი:**

– გასულ სეზონშიც ბევრი გოლი გავიტანეთ – ჩემპიონატში ყველაზე მეტი. წელს კი საკუთარი შედეგი გავაუმჯობესეთ. ჩვენ გავიტანეთ ბევრი ხარისხიანი გოლი, სხვადასხვა ფეხბურთელებმა, მეტოქეებს არ ვამცირებთ, უბრალოდ ჩვენი სტილია, თამაშს ნებისმიერ მომენტში ვაგრძელებთ. უკვე ზედიზედ მე-4 წელია სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში ვართ და ამაში ევროთასებზე თამაშიც დაგვეხმარა. ძალიან გავიზარდეთ ტექნიკური თვალსაზრისით. ჩემპიონთა ლიგა და პსჟ? მათ თასის 2 ფინალი ჯერ კიდევ სათამაშო აქვთ. არ ვიცი რა არის უკეთესი, რთულია ამის წინასწარ განსაზღვრა. ეს იქნება 2 კარგად მომზადებული გუნდის დაპირისპირება. არ ვფიქრობ, რომ ჩვენ გადაღლილები ვიქნებით და ისინი მოუმზადებლები, რადგან სეზონი საფრანგეთში დასრულებულია. გული მწყდება იუვესთან, ინტერთან და ლაციოსთან მატჩებში დაკარგულ ქულებზე, ძალიან არ გაგვიმართლა ამ მატჩებში. მართალია, სპალთან სახლში წავაგეთ, მაგრამ ამაზე უფრო არ მწყდება გული, რადგან სხვებმაც დაკარგეს ქულები სხვა მატჩებში, მაგრამ კონკურენტებთან უშუალო მატჩებში მოპოვებული ქულებით შეგვეძლო ახლა უკეთეს მდგომარეობაში ვყოფილიყავით.

აქვე გეტყვით, რომ ატალანტა სერია ა-ში 70 ქულით მე-2 ადგილზეა და ლიდერ იუვენტუსს 7 ქულით ჩამორჩება. სეზონის დასრულებამდე 5 ტურით ადრე უკვე გაიტანა 93 გოლი, რაც იტალიაში 70 წელი არ მომხდარა. პარალელურად, ჩემპიონთა ლიგაზე იბრძვის და მეოთხედფინალში პსჟ-სთან დაპირისპირება ელოდება.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ჩეხური ლუდი; 2. პისტოლეტის ჩასადები ტყავის ბუდე; 3. იტალიური რესტორანი; 4. გადასატანი მიმღებ-გადამცემი რადიოსადგური; 5. ქართული ზღაპრების პერსონაჟი დიდი ფრინველი; 6. მრავალშრიანი ფანერი; 7. ნორვეგიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 9. პორტუგალიური ღვინო; 13. ფულის ერთეული ყაზახეთში; 17. აღმოსავლური ტკბილეული; 18. უქოჩრო მოლაპარაკე ფრინველი.

**თარაზულად:** 1. დამუხლული ღეროს მქონე ტროპიკული მცენარე; 3. ზოგიერთი მცენარის მიწისქვეშა გამსხვილებული ღერო; 8. პოლიტიკური პარტია ისრაელში; 8. ჩაის მწარმოებელი ქართული ფირმა; 11. იაპონური ავტომობილი; 12. უბანი ძველ თბილისში; 14. ძლიერი გატაცება რაიმეთი; 15. რაიონული ცენტრი კახეთში; 16. ჩამოწოლილი ნისლი, ბურუსი; 19. კოლუმბიის დედაქალაქი; 20. სპორტის ოლიმპიური სახეობა; 21. ქერისგან მომზადებული უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ურუშაძე; 2. ჩაყაში; 3. ქუჩაბანდი; 4. გაბენი; 5. გრიმალდი; 7. იენი; 11. ნეიმარი; 13. ბავარია; 15. სესხი; 16. დურდო; 18. დაისი; 19. დუბაი.

**თარაზულად:** 6. როსინი; 8. ანდური; 9. ამბიცია; 10. ალბიონი; 12. პიეტა; 14. ყინული; 17. დივიდენდი; 20. ჭიათურა; 21. ჩხოუში; 22. სედანი; 23. მოტოროლა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ქვანახშირი; 2. გოგენი; 3. კარცერი; 4. კიევო; 5. დედვეიტი; 6. აიეტი; 7. ფაბრიკი; 9. ბეშუმი; 13. კენზო; 17. ვალი; 18. აბე.

**თარაზულად:** 1. ქირურგი; 3. კასიკი; 8. ჭედილა; 10. ვენეცია; 11. მარში; 12. პორტერი; 14. იშემია; 15. შპიგელი; 16. ტყვია; 19. კოზაკი; 20. ნიორაძე; 21. ჩაფიძე.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


17 ივლისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0651

ევრო — 3.5049

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.8715

100 რუსული რუბლი — 4.3127

## ამინდის პროგნოზი 17 ივლისისთვის




## პოლ პოგბა მანჩესტერ იუნაიტედში რჩება



მანჩესტერ იუნაიტედის ფრანგი ნახევარმცველი პოლ პოგბა დიდი ალბათობით მანჩესტერ იუნაიტედში დარჩება და გუნდთან ახალ კონტრაქტს მოაწერს ხელს. ეს კონტრაქტი 5-წლიანი იქნება და პოგბა კვლავინდებურად მანჩესტერის ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად დარჩება.

წლევანდელი სეზონის დიდი ნაწილი პოგბამ ტრავმის გამო გამოტოვა, თუმცა, როგორც ჩანს, მანჩესტერში მაინც აქვთ მისი იმედი. პოგბას შეძენა ყველაზე მეტად მადრიდის რეალს სურდა, განსაკუთრებით ზიდანს, მაგრამ მადრიდელებს მინიმუმ რამდენიმე წელიწადი დაცდა მოუწევთ.

## ჟოან ლაპორტა: „არ გამიკვირდება, თუ მესი ბარსელონას დატოვებს“



ბარსელონას ყოფილმა პრეზიდენტმა ჟოან ლაპორტამ ლიონელ მესიზე ისაუბრა და თქვა, რომ მას არ გაუკვირდება თუ მესი მომავალში ბარსელონას დატოვებს და სხვა გუნდში გადავა, რადგან ბარსელონაში ამჟამად სტაბილური მდგომარეობა არ არის:

— ბარსელონა ბოლო პერიოდში მცირე კრიზისს განიცდის და ეს ბევრი რამის ბრალია, თუმცა დეტალებს არ ჩავეძიები. თუ მდგომარეობა არ გამოსწორდა, შესაძლოა გუნდი ლიდერებმა დატოვონ, მათ შორის ლეო მესიმაც.

## ინტერს ალექსის სანჩესის გამოსყიდვა სურს



მილანის ინტერს მანჩესტერ იუნაიტედის ფორვარდის ალექსის სანჩესის გამოსყიდვა სურს, რომელიც ამჟამად გუნდში იჯარის წესით არის. მიუხედავად იმისა, რომ სანჩესმა ტრავმების გამო სეზონის დიდი ნაწილი გამოტოვა, ინტერს მისი დატოვება მაინც სურს.

მანჩესტერი სავარაუდოდ სანჩესის ტრანსფერში 20 მილიონს მოითხოვს და ინტერი ამ თანხას დათანხმდება. ინტერის მთავარი მწვრთნელი ანტონიო კონტე სანჩესზე დიდ იმედებს ამყარებს.

## იურგენ კლოპი: „არსენალთან წაგებას არ ვიმსახურებდით“



ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა არსენალთან მატჩზე ისაუბრა და თქვა. რომ მისი გუნდი წაგებას არ იმსახურებდა. კლოპის თქმით, არსენალს უბრალოდ გაუმართლა:

— მთელი მატჩის მანძილზე უპირატესობას ვფლობდით და უბრალოდ არ გაგვიმართლა, რომ შანსები ვერ გამოვიყენეთ. დარჩენილი შეხვედრები ჩვენთვის ვარჯიშივით არის, რადგან სატურნირო მოტივაცია არ გვაქვს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



17 ივლისისთვის

**ვერძი** — მოულოდნელი ცვლილებების დღეა. გაუფრთხილდით ოჯახურ ურთიერთობას. სიზმარი აგიხდებათ. **კური** — მოთმინებით აღიჭურვეთ. ერიდეთ კამათსა და კონფლიქტურ სიტუაციებს. **ტყუპები** — მოვლენები ადეკვატურად შეაფასეთ. ნუ იქნებით სუბიექტური. ფიზიკური დატვირთვა რეკომენდებული არ არის. **კირჩხიბი** — კეთილისმყოფელი დღეა კარიერული წინსვლისათვის. ფინანსური მდგომარეობა სახარბიელო არ არის. **ლომი** — ბედი მორიგ გამოცდას გიწყობთ. რადიკალური ქმედებებისაგან თავი შეიკავეთ. ეს მეტწილად პირად ცხოვრებას ეხება. **ქალწული** — პირად ცხოვრებაში სირთულეები იჩენს თავს. გარეშე პირებს თქვენს საქმეში ნუ ჩარევთ. **სასწორი** — იდეალური დღეა კოლექტიური საქმიანობისათვის. წარმატება გარანტირებულია. **მორიელი** — მშვიდად იყავით. მოვლენებს ნუ დააჩქარებთ. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობას ნუ დაძაბავთ. **მშვილდოსანი** — ახალი საქმის დაწყება არ ღირს. ხელმძღვანელობასთან დიპლომატიურობა გამოიჩინეთ. **თხის რქა** — ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა დიდია. ყურადღება მიაქციეთ კვების რეჟიმს. **მერწყული** — იზრუნეთ საკუთარ თავზე. ჯანმრთელობას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. **თევზები** — შეიცვალეთ გარემო. გადაიხალისეთ გარდერობი. ახალი საქმის დასაწყებად საკმაოდ კარგი პერიოდია.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## იუმორი

კაცი ქალს ეუბნება:

— მოდი, დავივიწყოთ, რაც ჩვენ შორის მოხდა!

— ჩვენ შორის არაფერი მომხდარა.

— ასე სწრაფადაც არ არის საჭირო!...

●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:

— კაცო, ჩვენი მეზობელი ჟენია ისეთი ცივი ქალია, ისეთი, რომ კოღოს, რომელმაც სისხლი ამოსწოვა, ყელი ასტკივდა.

●●●

მამაკაცს ჟურნალისტი ეკითხება:

— შეგიძლიათ თქვენი საყვარელი მითიური არსება დაგვისახელოთ?

— პატიოსანი პოლიტიკოსი.

●●●

უცხო ქალაქში ჩასული მამაკაცი ქუჩაში ბავშვს ეკითხება:

— ბიჭიკო, დიდი ხანია თქვენთან წვიმს?

— არ ვიცი, ჯერ მხოლოდ ექვსი წლის ვარ...

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს უყვება:

— ჩემი ცოლი ფეხმძიმედ რომ იყო, სულ ვაცინებდი, ბევრ ანეკდოტს ვუყვებოდი, ის კი მეუბნებოდა: „ამდენს ნუ მაცინებ, თორემ ზღარბს გავაჩენ!“

— მერე, როგორ დასრულდა ყველაფერი?

— ნორმალურად... და შემთხვევით ხომ არ იცი, ზღარბი რითი იკვებება?

●●●

მამაკაცი სასტუმროს გვერდით ნომერში მცხოვრებ ქალს ეკითხება:

— აქ მარტო ისვენებთ?

— დიახ, — კეკლუცად პასუხობს ქალი.

— მაშინ ამ ერთ სკამს ჩემთან გავიტან...

●●●

მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება:

— გიგი, კარნახით წერაში რატომ გაქვს დაშვებული ისეთივე შეცდომები, როგორებიც აქვს შენ გვერდით მჯდომ გივის?

— ჩვენ ხომ ერთი და იგივე მასწავლებელი გვყავს, მასწავლებელო!

●●●

ორნი საუბრობენ. ერთი მეორეს ეუბნება:

— დღეს დილით გამოაცხადეს, რომ დასავლეთიდან ძლიერი ჭექა-ქუხილი და კოკისპირული წვიმა გვიახლოვდება.

— აბა სხვანაირად როგორ იქნება! ყველაფერი ცუდი ხომ იქიდან მოდის!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## გიგი პიანომენმა გიორგი შაქარაშვილის ხსოვნას მუსიკალური კომპოზიცია მიუძღვნა



პიანისტმა გიგი პიანომენმა 19 წლის ფეხბურთელის გიორგი შაქარაშვილის ხსოვნას მუსიკალური კომპოზიცია მიუძღვნა:

— გიორგი შაქარაშვილის ხსოვნას ჩემგან — ასე დაასათაურა თავისი ვიდეოჩანაწერი პიანისტმა, რომელიც სოციალურ ქსელში გაავრცელა.

გიგიმ გიორგის საყვარელი მუსიკალური კომპოზიცია თავისი ინტერპრეტაციით შეასრულა და ათასობით ადამიანის მოწონებაც დაიმსახურა.

## მანანა აბრამიშვილი მთავრობას: „არ გესმით თქვენ ხალხის მდგომარეობა!“



რუსთაველის თეატრის მსახიობი მანანა აბრამიშვილი მთავრობის გადაწყვეტილებებით უკმაყოფილოა და მიაჩნია, რომ მათ ხალხის მდგომარეობა არ ესმით:

— ერთადერთი გახარია იყო თითქოს ნათელი წერტილი ოცნების მთავრობაში და ისიც გააფერისტდა. ამათ მართლა ჰგონიათ, რომ ხალხს არ უჭირს და ხალხი კარგადაა თუ? რა წლის ბოლომდე გაგრძელდებაო აკრძალვები. ოე, ოე... ისლა დაგვრჩენია, არ გაიმარჯვოთ ოქტომბერში და ვინც მოვა სხვა, თქვენ მაგივრად მოხსნას მერე ეს აკრძალვები! ამის გამო მაინც ღირს თქვენი წასვლა! არ გესმით თქვენ ხალხის მდგომარეობა!

## დავით კოვზირიძე: „ვაჟა-ფშაველას სამარცხვინო სახლ-მუზეუმი გავუკეთეთ“



გადაცემის „მძიმე კაცთან“ წამყვანი დავით კოვზირიძე აცხადებს, რომ ვაჟა– ფშაველა ქართველებისგან დაუფასებელია:

— ვაჟა-ფშაველა — კაცი, რომელიც მარტო სადღეგრძელოებისთვის გვჭირდება, რომელსაც სამარცხვინო სახლ-მუზეუმი გავუკეთეთ, რომელზეც ერთი მოკლემეტრაჟიანი ფილმიც არ გადაგვიღია, რომელზეც ბევრი არაფერი ვიცით, რომელიც არ წაგვიკითხავს და რომელსაც ეს რუსეთის ტრა.ში გატენილი, ამაზრზენი ქვეყანა რომ ენახა, ალბათ თავს მოიკლავდა.

## დანესდეს ნოდარ დუმბაძის, ვაჟა-ფშაველას და ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაბადების დღე კაცების დღედ!



ამ ინიციატივით თამაზ სულაძე გამოდის და საზოგადოებას მხარდაჭერას სთხოვს:

— ადრეც ვთქვი და დღესაც ვიმეორებ, რომ ეგებ 14 ივლისი კაცების დღედ დავაფუძნოთ! ამაზე უკეთესი კაცები საქართველოს არ ჰყოლია — ამ დღეს დაიბადნენ საქართველოს დიდი კაცები ვაჟა-ფშაველა, ქაქუცა ჩოლოყაშვილი და ნოდარ დუმბაძე!

## ანიტა რაჭველიშვილი საბერძნეთში საზაფხულო ფესტივალს გახსნის




18 ივლისს მსოფლიოში აღიარებული ქართველი მეცოსოპრანო ანიტა რაჭველიშვილი საბერძნეთის ეროვნული ოპერის საზაფხულო ფესტივალს გახსნის.

ათენის ცენტრში, რომაული აგორას ღია სივრცეში, კამილ სენ-სანსისა და ვერდის ნაწარმოებები აჟღერდება, რომლებსაც ოპერის ქართველი ვარსკვლავი შეასრულებს.

ფესტივალი 15 სექტემბრამდე გაგრძელდება, წარმოდგენები კი 70 სხვადასხვა კულტურულ სივრცეში გაიმართება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ლეჩხუმსა და სამეგრელოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 2. ქალაქი საფრანგეთში, სადაც განთავსებულია კოსმოსური კვლევის ეროვნული ცენტრი; 3. უძველესი ქართული ხალხური თეატრალური თამაში-სანახაობა; 4. ფრანგი მოდელიორი ქალი; 5. ესპანეთში მოთამაშე საქართველოს ნაკრების კალათბურთელი; 7. ხელოვნების მუზეუმი ლოს ანჯელესში; 11. კიდულ ლიანდაგებზე მოძრავი ტვირთის ასაწევი მექანიზმი; 13. ისლამის ერთ-ერთი მიმდინარეობა; 15. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ლენტეხის რაიონში; 16. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 18. წვრილი, უკურკო ქიშმიში; 19. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი.

**თარაზულად:** 6. უღრანი ტროპიკული ტყე; 8. მარმარილოს საბადო ტყიბულის რაიონში; 9. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 10. ჭაბურღილიდან ნავთობის, წყლის ამოსაქაჩი პნევმატური მოწყობილობა; 12. ქართული მონასტერი კუნძულ კვიპროსზე; 14. ქართული რადიო; 17. ქაღალდის ფულის შემსწავლელი დისციპლინა; 20. თაიგულების შედგენის იაპონური ხელოვნება; 21. სევანის ტბის კალმახი; 22. სამონასტრო კომპლექსი ადიგენის რაიონში; 23. „ბითლზის“ ერთ-ერთი წევრი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*